ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 1 აპრილი, 2019 | №76 (8030) | ფასი: 60 თეთრი



რაზმიკ თამასიანი მეუღლეს უჩივის

## ცოლი ცემით მემუქრებოდა, ერთხელ კედელიც კი გამოანგრია

გვ.7

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა სალალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „ოცნების“ მერობის კანდიდატს ზუგდიდში ნახევარი მილიონი დოლარის ვალი აქვს

გეგა შენგელია შეიძლება შეცვალონ

გვ.3





## ივანიშვილი და ვოლსკი გამსახურდიას მომხრეების აქციებს არბევდნენ?

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ოცნების“ ლიდერმა თავისი განცხადებებით პირველი პრეზიდენტი მეორედ მოკლა“

გვ.2





## ნინო ბურჯანაძე: „თუ ვინმე სააკაშვილთან გარიგებას დაპირებს, ჩემი პარტიის წევრი აღარ იქნება“

გვ.4

„დიახ, სააკაშვილი პოლიტიკაში ფაქტორია... სანიკიძეს არსად უთქვამს, რომ მასთან თანამშრომლობას ვაპირებთ“



## ანა ნაცვლიშვილი: „ახალი კანონპროექტით, სისტემაში გარედან ერთი მერცხალიც კი ვერ შეფრინდება“

გვ.3

### სამართალი

გვ.7

ანა ბაგრატიონი გამოკითხვაზე დაიბარეს





ზუგდიდში მამაკაცი იმიტომ დაჭრეს, რომ ბრალდებულის ქალიშვილთან ხელი ჩუმად მოაწერა



ბაკურიანში სასტუმრო „რეზიდენსს“ ცეცხლი გაუჩნდა

### საზოგადოება



## როცა გზაზე მშობიარობენ ან იხოცებიან

ონის სამშობიაროს აღდგენაზე მთავრობა უარს ამბობს

გვ.6



ილია II: „პრემიერს ვთხოვე, სკოლის პროგრამებში შევიდეს გალობა და ხალხური სიმღერა. მითხრა, რომ ასე იქნება“

გვ.6

გოგი წულაია: „სახურავი გადახურეს ახალი კრამიტით, მაგრამ მალევე დაზიანდა და ახლა ბრეზენტით აქვთ გადაფარებული“



გვ.4



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 რუსეთში საქართველოს საზღვაო სანაპიროზე ნატოს პოზიციების გაძლიერების გამო პანიკაა

5 ბიძინა გუჯაბიძე: „ზვიადი რომ ჩამოვიდა 1993 წელს, ლანჩხუთის გამგებლად დამნიშნა“

7 ხონის ფსიქიატრიულის გარდაცვლილი პაციენტის ოჯახი ექიმების დასჯას ითხოვს

8 აშშ-მ ფხენიანისგან მთელი ბირთვული არსენალის გადაცემა მოითხოვა

# ივანიშვილი და ვოლსკი გამსახურდიას მომხრეების აქციებს არბევდნენ?





## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ოცნების“ ლიდერმა თავისი განცხადებებით პირველი პრეზიდენტი მეორედ მოკლა“



შორენა მარსაგიშვილი

რატომ გაახსენდა „ოცნებას“ პირველი პრეზიდენტი ხელისუფლებაში მოსვლიდან მეშვიდე წელს, ვინ და რატომ ბლოკავს გამსახურდიას საქმის გამოძიებას, სად უწოდა „ოცნების“ ლიდერმა გამსახურდიას გიჟი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო ბიძინა ივანიშვილის განცხადება ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით. ამ განცხადებით „ოცნების“ ლიდერმა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ფაქტობრივად, მეორედ მოკლა.

მან თქვა, რომ ხიბულაში გააკეთებს გამსახურდიას მუზეუმს. მაინტერესებს, რას ეტყვიან ვიზიტორებს, აქ იწვა პრეზიდენტი და ტყვია დაიხალა თავშიო? მართლა არ მესმის, რა დანიშნულება აქვს ხიბულაში მუზეუმს. გამსახურდია იქ არც დაბადებულა, არც გაზრდილა და არც დაღუპულა. არსებობს მასალები, საიდანაც მტკიცდება, რომ ხიბულაში გამსახურდია უკვე გარდაცვლილი მიიტანეს.

იმ სახლს, სადაც გვეუბნებიან, რომ პირველმა პრეზიდენტმა ტყვია დაიხალა, ერთადერთი დანიშნულება აქვს – ჭეშმარიტების დასადგენად იქ კრიმინალისტებმა საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩაატარონ.

ხიბულაში გამსახურდიას მუზეუმის გახსნა გაუგონარი რამეა. ეს დაახლოებით იგივეა, ზურაბ ჟვანიას მუზეუმი იმ სახლში გაიხსნა, სადაც ის გარდაცვლილი იპოვეს.

როდესაც შევარდნაძის ფორმირებები პირველ პრეზიდენტს დევნიდნენ, მან ხიბულამდე 30 ადგილი მაინც გამოიცვალა. მაშინ ყველა იმ სახლში უნდა გაიხსნას მუზეუმი, სადაც ცხონებულმა ღამე გაათია.

ხიბულაში მდებარე სახლის ეზოში მემორიალური დაფის გაკეთება შეიძლება, მაგრამ – არავითარი მუზეუმი. ივანიშვილმა კი ეს რამდენიმეჯერ გაიმეორა. ამით მან ირიბად მიანიშნა, რომ გამსახურდია იქ დაიღუპა. არადა, როგორც უკვე გითხარით, ხიბულაში გამსახურდია მკვდარი მიიტანეს.

***– რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ გამსახურდია იქ მკვდარი მიიტანეს?***

– ამაზე უამრავი მოწმე საუბრობს. ვთქვათ და ხიბულაში მოკვდა გამსახურდია, მას თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს. მისთვის ნასროლი ტყვიის ტრაექტორია ისეთია, რომ თვითმკვლელობა გამორიცხულია.

ჩემთვის ასევე აღმაშფოთებელი იყო „ოცნების“ ლიდერის კიდევ ერთი ფრაზა. ივანიშვილი ამბობს, ქვეყნის სირცხვილია, აქამდე პირველი პრეზიდენტის საქმე გამოძიებული რომ არ არისო.

ქვეყანა და ხალხი რა შუაშია, მეშვიდე წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და გამოეძიებინათ ეს საქმე. მაგრამ არა, ხელისუფლებაში როგორც კი მოვიდა, პირველი თავისი „ქართუ ბანკის“ საქმე გამოეძია, ამ საქმით დაეწყო.

ეს საქმე რომ გამოუძიებელია, ეს ქვეყნის კი არა, ხელისუფლების სირცხვილი და ივანიშვილის ბრალია. მას რომ მოეთხოვა, მისი ნების წინააღმდეგ ვერავინ წავიდოდა. თან გამოსაძიებელიც აღარაფერია. უამრავი მტკიცებულება და ჩვენებაა მოპოვებული და ისინი საქმეში დევს.

ყველაფერი, ფაქტობრივად, გამოძიებულია, მაგრამ ხელისუფლება ამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებაში სხედან გამსახურდიას მკვლელები. რომელ გამოძიებაზეა საუბარი, როცა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას იმ ადამიანის სახელი ჰქვია, რომელიც გამსახურდიას დევნის ოპერაციაში მონაწილეობდა.

ახლა ზვიადის სახელის უკვდავყოფაზე რომ გველაპარაკებიან, დაერქმიათ თბილისის აეროპორტისთვის მისი სახელი. რამდენი ადამიანი ითხოვდა ამას. ხელმოწერებიც კი შეგროვდა. აეროპორტისთვის პირველი პრეზიდენტის სახელის მინიჭებას რეზო ამაშუკელიც კი ითხოვდა. არადა, ის და ზვიადი დაპირისპირებული იყვნენ.

არც ახლა უნდა „ოცნებას“ პირველი პრეზიდენტის სახელის უკვდავყოფა. მასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები ერთ რამეზე მეტყველებს – ხელისუფლება ცდილობს, რომ გამსახურდია, მხოლოდ როგორც მეგრელთა ლიდერი, ისე წარმოაჩინონ. ამის გაკეთება არის ამ კაცისა და სამეგრელოს შეურაცხყოფა. სამეგრელო საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ზვიადი კი სრულიად საქართველოს ლიდერი იყო.

პირველი პრეზიდენტის სახელის უკვდავყოფა თუ უნდათ, თბილისის ცენტრში დაუდგან მას ძეგლი.

ივანიშვილი ახლა რომ ძალიან აქებს პირველ პრეზიდენტს, იყო დრო, მას გიჟს ეძახდა. პოლიტიკაში რომ შემოდგა ფეხი პირველად, მაშინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, გამსახურდია გიჟი იყო და ხელისუფლებაში რა უნდოდაო.

***– რატომ არსად არ გაიჟღერა აქამდე ამ განცხადებამ?***

– იმიტომ, რომ ეს ფრაზა ინტერვიუდან ამოიღეს, მაგრამ ჩანაწერი შენახულია. არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგიერთები ივანიშვილს ამ ჩანაწერით აშანტაჟებენ. როდესაც „ოცნების“ ლიდერს ხელისუფლებაზე წვდომა აღარ ექნება, ეს ჩანაწერი აუცილებლად გამოქვეყნდება.

ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პირველ პრეზიდენტს მანერები დაუწუნა, თქვა, მას მანერები არ უვარგოდაო. აქედან გამომდინარე, მის ფარისევლობას არავინ დაიჯერებს.

ამ ხელისუფლებაში ბევრია ისეთი ხალხი, ვინც ზვიადს ებრძოდა. მინდა, მივმართო მათ და ვუთხრა, კაცმა დამოუკიდებლობა მოუტანა ქვეყანას და ის არ აპატიეთ, 6 თვე მერსედესით რომ დადიოდა. მაგ ლოგიკით თქვენ სარებზე ხართ ჩამოსაცმელი.

ვის უწუნებთ მანერებს, მეშვიდე წელია, ხელისუფლებაში ხართ და ქვეყანა გააღატაკეთ, ბოლომდე დედა უტირეთ.

ამათ, ეტყობა, ქართველი ხალხი ჩლუნგი ჰგონიათ. ძალიან კარგად მიხვდა საზოგადოება, რასაც უკავშირდება ეს ტაკიმასხრობა. მაისში ზუგდიდში მერის რიგგარეშე არჩევნები ტარდება. ამ ქალაქში ზვიადი ძალიან უყვართ და ფიქრობენ, თუ მასზე კარგს იტყვიან, ხალხის გულს მოიგებენ.

ამ შემთხვევაში მათი ვარაუდი არ გამართლდა. ამ განცხადებებმა ზუგდიდელები კიდევ უფრო გააღიზიანა. აქამდე არანაირი დაპირება არ შეუსრულებიათ და რაღა ზვიადის მკვლელობას გამოიძიებენ. ამ ხელისუფლებაში ძალიან ბევრია ისეთი, ვინც კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდებაში მონაწილეობდა.

ძალიან უხერხულია, როცა პირველ პრეზიდენტზე გია ვოლსკი საუბრობს და ამბობს, გამსახურდია დიდი კაცი იყოო.

***– სახელმწიფო გადატრიალებაში გია ვოლსკიც მონაწილეობდა?***

– გადატრიალებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ მოსკოვში აქტიურობდა ძალიან. არსებობს კადრები, თუ როგორ იგერიებს ის გამსახურდიას მომხრეებს, რომლებიც საქართველოს საელჩოსთან აქციას მართავენ.

***– ეს აქცია რომელ წელს გაიმართა?***

– ზვიადი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო. მისი მომხრეები მოსკოვში შევარდნაძის საწინააღმდეგო აქციას მართავდნენ და ვოლსკი მათ იგერიებდა. სხვათა შორის, ამ კადრებში ბიძინა ივანიშვილიც ჩანს.

***– ვისკენ არის ივანიშვილი?***

– ვისკენ და შევარდნაძისკენ. კადრებიდან კარგად ჩანს, როგორ იცავს ის შევარდნაძეს.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილს მართლაც მოუნდა პირველი პრეზიდენტის სახელის უკვდავყოფა. ეს იდეა თავში თავად არ მოუვიდოდა, მრჩევლებმა ურჩიეს, რა გაეკეთებინა. ისეთი მრჩევლები ჰყავს, კარგს არაფერს ურჩევდნენ. თენგიზ სიგუა რომ გეყოლება მრჩევლად, იქ ნორმალურ რჩევას როგორ ელოდები.

***– მართლა ჰყავს სიგუა მრჩევლად?***

– გვერდზე უდგას. „ოცნებამ“ პირველი თავყრილობა რომ გამართა, სიგუა საპატიო ლოჟაში იყო გამოჭიმული. რამდენადაც მე ვიცი, მას და ივანიშვილს კარგი ურთიერთობა აქვთ.

***– სიგუას კიდევ არა უჭირს, მთავარია, კიტოვანი არ დაიყენოს მრჩევლად.***

– კიტოვანზე უარესები ჰყავს გარემოცვაში. ამიტომაც უშვებს შეცდომას შეცდომაზე. ვიმეორებ, საქმის გამოძიება რომ სდომებოდა, გამოიძიებდა კიდევაც. ამაში მას სააკაშვილმა აჯობა. ხელისუფლებაში მისი ყოფნის დროს პარლამენტში პირველი პრეზიდენტის საქმის გამოსაძიებელი კომისია შეიქმნა, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

***– გამოძიება კი დაიწყო, მაგრამ არც მაშინ მისულა ბოლომდე საქმე.***

– რამდენადაც მე ვიცი, მაშინ ამერიკელებმა მოითხოვეს, რომ საქმის გამოძიება შეწყვეტილიყო. ამაზე პროკურატურის ყოფილი თანამშრომლებისგან მაქვს ინფორმაცია.

***– ამერიკას რაში სჭირდებოდა ამ გამოძიების შეჩერება?***

– გამსახურდიას ჩამოგდებაში მარტო რუსეთის დადანაშაულება სირცხვილია. გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა გააკეთა განცხადება, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. ეს პუტჩისტებისთვის იყო მწვანე შუქის ანთება.

ზვიად ძიძიგური უსირცხვილო ადამიანი ყოფილა. არ მესმის, რა ნამუსით ალაპარაკდა ახლა პირველ პრეზიდენტზე. ამდენი წელია, პარლამენტში ზის და ერთხელ არ წამოუწევია ეს თემა.

***– თემის წამოწევას ვინ ჩივის, პროკურატურასთან თითქმის ერთი კვირა შიმშილობდნენ ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიები, იქაც კი არ მისულა, რომ მხარდაჭერა გამოეცხადებინა.***

– მაგიტომ ვამბობ, რომ უსირცხვილოა. ის ხელისუფლება, რომელსაც ძიძიგური წარმოადგენს, ღიად ებრძვის გამსახურდიას იდეებს.

კარგად მახსოვს ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 26 მაისს. მან ქართველ ხალხს მიმართა და თქვა, 1918-1921 წლებში ჩვენი საქმე იმიტომ წავიდა ცუდად, რომ ილიას მკვლელების გზა ავირჩიეთო. აღიარებული ფაქტია, რომ ილიას მკვლელობის უკან სოციალ-დემოკრატები იდგნენ. ამ სოცდეკებთან იყო ნოე ჟორდანია.

ილიას მკვლელებმა ჩაიგდეს მაშინ ხელისუფლება სათავეში. 1921 წელს რუსები რომ შემოვიდნენ, თავად საფრანგეთში გაიქცნენ და საქართველოს დაცვა იუნკერებს შეატოვეს.

იმდენი ტყვია-წამალი იყო ქვეყანაში, რომ თავისუფლად შეიძლებოდა მე-11 არმიის შეჩერება, მაგრამ მთავრობა გაიქცა.

1918-1921 წლებში საქართველო ილიას მკვლელებმა ჩაიგდეს ხელში, ახლა ქვეყნის სათავეში ზვიადის მკვლელები არიან და, როგორც მაშინ დასრულდა საქართველო, ახლაც ეგრე სრულდება ეს ქვეყანა.

***– ქვეყანა რატომ სრულდება?***

– იმიტომ, რომ რაც ახლა ხდება, სახელმწიფოს დასასრულია. იმის მაგივრად, რომ ქრისტეს გზით წავსულიყავით, ბარაბას გზა ავირჩიეთ. ზვიადი ქრისტე არ იყო, მაგრამ ის იყო პრეზიდენტი, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლიდან 6 თვეში დამოუკიდებლობა მოუტანა ქვეყანას. კიდევ ბევრს გააკეთებდა, მაგრამ არ აცალეს.

ვიღაცა მეტყვის, შეცდომებიც ჰქონდაო. უშეცდომო არავინაა, მაგრამ ამის გამო გადატრიალების მოწყობა დაუშვებელია. შეცდომების გამო თუ ზვიადი ჩამოაგდეს, მაშინ დღევანდელი ხელისუფლება სარებზეა ჩამოსაცმელი.

ქვეყანა უცხოტომელებს მისცეს საჯიჯგნად, ოკუპაცია გააღრმავეს, ქართველები კი მიგრანტებად გვაქციეს. ამ ხელისუფლებამ ყველა გადაიმტერა. „ოცნებით“ მხოლოდ ის ხალხია აღტყინებული, ვისაც ივანიშვილი ფულს უხდის. აბა, ერთი თვე დააგვიანოს ფულის გადახდა, ამოუხტებიან ტანსაცმლიდან. როცა ყოველთვე რამდენიმე ათას ლარს ურიცხავენ, მაშინ საქართველო ია-ვარდებით მოფენილად ეჩვენებათ.

წითელი ინტელიგენციის დახმარებით „ოცნება“ ხელისუფლებას ველარ შეინარჩუნებს. მათ არც სართულებიანი დაპირებები უშველის. ისე ცუდად არის მათი საქმე, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რომ გაცოცხლდნენ და მათ პარტიაში შევიდნენ, ისინიც ველარ უშველიან ივანიშვილს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ანა ნაცვლიშვილი: „ახალი კანონპროექტით, სისტემაში გარედან ერთი მერცხალიც კი ვერ შეფრინდება“

ნათია ხურცილავა

იურისტი, პრეზიდენტის ყოფილი საპარლამენტო მდივანი ანა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ კანონპროექტზე საუბრობს, რომლითაც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა გამწესება უნდა მოხდეს.

***– ქალბატონო ანა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. უმრავლესობა ამბობს, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა მისთვის მნიშვნელოვანია. დასკვნას ხელისუფლება გაითვალისწინებს თუ მას მხოლოდ ფორმალური სახე ექნება?***

– ვენეციის კომისიის შეფასებასა და დასკვნას კანონპროექტთან დაკავშირებით ყოველთვის აქვს აზრი. ზოგადად ხელისუფლების მიდგომა რომ ფორმალურია, ეს ახალი არ არის. ძალიან დიდი დრო ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, რომ საპარლამენტო ფორმატში დისკუსია დაეწყო და ყველას ჩართულობით შეექმნა ისეთი საკანონმდებლო პროცედურები, რომლებიც ამ ჩიხურ სიტუაციაში არ ჩაგვაგდებდა, მაგრამ მმართველმა ძალამ ეს არ გააკეთა.

მე იმედი მაქვს, რომ ვენეციის კომისია დაინახავს მთელ იმ პრობლემატიკას, რომელიც ამ კანონპროექტშია. თუმცა, ვენეციის კომისიის შენიშვნებზე, როგორც ეს არაერთხელ მოხდა, ხელისუფლება დაიწყებს მანიპულირებას. დარწმუნებული ვარ, მათი პოზიცია ასეთი იქნება: – ეს თარგმანში ასე იკითხება და არა ასე, რომ სავალდებულოდ გასათვალისწინებელი კი არ არის, არამედ სარეკომენდაციო ხასიათის არის და ა.შ.

2017 წელს, როდესაც ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებები შეაფასა, მაშინ მიუთითა, რომ მისთვის კარგად არის ცნობილი ის მწვავე კრიტიკა, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეხება ქვეყნის შიგნით და მაშინ ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი არის ის, რომ საბჭოს შესახებ კანონმდებლობა შეიცვალოს. თუმცა, ვენეციის კომისიის ეს რეკომენდაცია სრულიად იგნორირებულია.

საკომიტეტო მოსმენაზე ანრი ოხანაშვილს ამ რეკომენდაციაზე ვკითხე, რას აპირებენ. მითხრა, რომ ცვლილებებს აპირებენ, მაგრამ, თუ ეს ცვლილებები მას შემდეგ მომზადდება, რაც სასამართლოს სამივე ინსტანცია დაკომპლექტდება. მერე უკვე რა მნიშვნელობა ექნება!

***– რა შეგიძლიათ გვითხრათ უშუალოდ კანონპროექტთან დაკავშირებით?***

– კანონპროექტის შინაარსი ძალიან პრობლემურია. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს – ეს არის მოკლე შეფასება. გვიმტკიცებენ, რომ უპრე-

**2017 წელს, როდესაც ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებები შეაფასა, მაშინ მიუთითა, რომ მისთვის კარგად არის ცნობილი ის მწვავე კრიტიკა, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეხება ქვეყნის შიგნით და მაშინ ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი არის ის, რომ საბჭოს შესახებ კანონმდებლობა შეიცვალოს. თუმცა, ვენეციის კომისიის ეს რეკომენდაცია სრულიად იგნორირებულია.**

ცედენტოდ ღია და გამჭვირვალე პროცესია, მაშინ როდესაც სულ 5 მუხლშია ეს ცვლილებები გაწერილი და 15-ჯერ არის ნახსენები ფრაზა „ფარული კენჭისყრა“. ერთი წერია და მეორეს გვიმტკიცებენ.

ამ კანონპროექტის მხოლოდ „ოცნებასა“ და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სჯერა და მეტს არავის. არავის სჯერა, რომ ეს კანონპროექტი სასამართლოს გაიყვანს იქ, სადაც ქვეყანასა და ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ.

***– რამდენად იძლევა კანონპროექტი შესაძლებლობას, რომ გარედან შევიდეს ახალი კადრი, თუ რეალურად სრულ კარტბლანშს ე.წ. კლანს უტოვებს?***

– სწორედ სრულ კარტბლანშს კლანს უტოვებს. სრული გაუმჭვირვალობაა. ამ კანონით არანაირი ობიექტური პროცესი საბჭოში არ უნდა წარიმართოს. მეტიც, კანონპროექტით გარედან ერთი მერცხალიც კი ვერ შეფრინდება სისტემაში.

„ქართულმა ოცნებამ“ კანონმდებლობის შესამუშავებლად დაპატიჟა ის ხალხი, რომელთა უფლებამოსილებაც უნდა შეზღუდოს ამ კანონმა, მაგრამ ნეიტრალურ საექსპერტო წრეებს, მაგალითად, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მხოლოდ ერთი ადგილი შესთავაზეს. ამის გამო მათ დატოვეს სამუშაო ჯგუფი. ასევე ერთი ადგილი შესთავაზეს სამუშაო ჯგუფში უზენაეს სასამართლოს.

***– თუ ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინებას აპირებენ, მაშინ რატომ ჩქარობს მმართველი პარტია, ფორსირებულად რატომ იღებს კანონპროექტს?***

– იცით, როგორი ამბავია, საავადმყოფოში მისულ პაციენტს რომ უთხრან, ჩვენ არ გვაქვს ამდენი დრო, კვალიფიციური ექიმი შევარჩიოთ და ვისაც ვიპოვით, ის ჩაგიტარებთ ოპერაციასო. ამ დროს პაციენტი შეიძლება საერთოდ დაიღუპოს.

არ ვიცი, სად ეჩქარება „ქართულ ოცნებას“. საკომიტეტო განხილვაზე ანრი ოხანაშვილმა გვითხრა, რომ თუ საჭირო იქნება, კანონპროექტს მეორე მოსმენიდან პირველ მოსმენაზე დააბრუნებენ. ჩემთვის გაუგებარია, რა საჭიროა მიხვეულ-მოხვეული გზებით სიარული, როდესაც შეგვიძლია, დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნას და, თუ აპირებენ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებას, გაითვალისწინონ ყოველგვარი „დაბრუნებების“ გარეშე.

შეიძლება, ეჩქარებათ, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ხედავენ, საზოგადოება თანდათან



უფრო მობილიზებული ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– ადამიანებმა ალბათ გააცნობიერეს, რა შეიძლება, ამ პროცესს მოჰყვეს.***

– რა თქმა უნდა! ადამიანები მიხვდნენ, რა გველოდება. ამიტომ, მმართველი პარტია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სწრაფად მიიღოს ეს რეალობა. ფორსირებულად, მართალია, ასეთი მწვავე კრიტიკის ფონზე, მაგრამ მაინც ცდილობენ ეს ადამიანები, უზენაეს სასამართლოში გამწესდნენ, რადგან ეს მათთვის, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანია.

***– საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ არასამთავრობოებს ანა ნაცვლიშვილის გაყვანა სურთ უზენაეს სასამართლოში. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

– ეს თქვა ვანო ზარდიაშვილმა. ასე აზროვნებენ ისინი, თუ აპროტესტებ იმას, რაც არასწორი გგონია, მაშინ აუცილებლად რაღაც შენთვის გინდა. მათ ამ ნათქვამზე კომენტარიც კი არ ღირს.

# „ოცნების“ მერობის კანდიდატს ზუგდიდში ნახევარი მილიონი დოლარის ვალი აქვს

## გეგა შენგელია შეიძლება შეცვალონ

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიას საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა ისე არ გასჭირვებია, როგორც ზუგდიდის მერობის კანდიდატის შერჩევა გაუჭირდა. ისეთ შავ დღეში არიან, ლამისაა, პატიმრობაში მყოფი ყოფილი მერი ლაშა გოგია გამოუშვან ციხიდან და თანამდებობაზე დასვან.

ვაი-ვაგლახით შერჩეული კანდიდატი „ოცნებამ“ ხვალ, 2 აპრილს, უნდა წარადგინოს. ამიტომ არის, რომ მმართველი პარტიის ფეისები ბუზებივით დასტრიალებენ ზუგდიდს, დაპირებებსაც უხვად იძლევიან და ხალხის გულის მოსაგებად მეუფე გერასიმესთან იღებენ ფოტოებს.

მმართველმა პარტიამ ზუგდიდის მერის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა შეარჩია. ბევრი წვალებისა და მკითხაობის შემდეგ არჩევანი მერის მოვალეობის შემსრულებელ გეგა შენგელიაზე შეაჩერეს.

კანდიდატურის წარდგენამდე რამდენიმე დღით ადრე ნაციონალებმა მასთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაცია გაავრცელეს, რასაც შესაძლოა კანდიდატურის შეცვლა მოჰყვეს.

ნაციონალური მოძრაობის წევრი, ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატი ანი წითლიძე ამტკიცებს, რომ გეგა შენგელიას ბანკიდან ნახევარი მილიონი აქვს გამოტანილი და ზუგდიდელები მისი არჩევის შემთხვევაში ამ ვალებსაც აირჩევენ.

ეტყობა, ერთგვარი ტრადიციაა, რომ ზუგდიდის მერს აუცილებლად ბანკის ვალი უნდა ჰქონდეს. როგორც ანი წითლიძე ამბობს, ქალაქის წინა სამ მერსაც კაი ბლომად ვალი ჰქონდა წამოკიდებული.

– „ქართული ოცნების“ პირობებში ზუგდიდის სამივე მერს, თოლორაიას, გოგოხიას, გოგიას ვალები ჰქონდათ და მთელი ზუგდიდის ბიუჯეტისა და ტენდერების ხარჯზე მოგვიწია მათთვის ამ ვალების დაფარვამ.

მეოთხე მერობის კანდიდატ გიორგი შენგელიას ბანკისა და ცალკე პირების ვალი ნახევარ მილიონ დოლარს აღწევს (ნაწილი დეკლარაციაში მითითებული აქვს). რაც მითითებული არა აქვს, მთელმა ზუგდიდმა იცის. დეკლარაციის მიხედვით, შემოსავალიც არაფერი აქვს, რომ ამ ვალების ყოველთვიური პროცენტი იხადოს, რომც გაიმარჯვოს, ზუგდიდის მერის ხელფასი 3.000 ლარს არ აღემატება და რით აპირებს ამ ვალების გასტუმრებას, გაუგებარია.

ბიძინა ივანიშვილო, მაგ დაპირებებში უხ-



ვად რომ გაეცით, ჩვენი, ზუგდიდელების თხოვნა იქნება, ამას მაინც გაუსტუმრეთ ეგ ვალები, გამარჯვების შემთხვევაში (რაშიც დიდი ეჭვი მეპარება) ზუგდიდელების ფული მისი ვალების გასტუმრებაში რომ არ დაიხარჯოს, თან ისე მიდის საქმეები, თუ წააგო, ხომ საერთოდ ისე დარჩება, ბანკშიც აღარ დააბრუნებენ, – წერს სოციალურ ქსელში ანი წითლიძე.

ამ ინფორმაციის გასაჯაროებას მმართველ გუნდში დიდი წიოკი მოჰყვა. როგორც „ახალ თაობას“ მმართველ პარტიასთან დაახლოებულმა წყარომ უთხრა, „ოცნებაში“ ახალი კანდიდატურის წარდგენას არ გამორიცხავენ.

ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, წარდგენის წინა დღეს რამდენად მოიგებენ ზუგდიდელების გულებს. შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ამ ქალაქში მხოლოდ სევდიანი განცხადებების გასაკეთებლად და მეუფე გერასიმესთან სურათების გადასაღებად არ არის ჩასული.

მმართველი პარტიისგან განსხვავებით, ნაციონალებს საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ. მათი კანდიდატი სანდრა რულოვსი იქნება. ის 2016 წელს ზუგდიდის მაჟორიტარადაც იყრიდა კენჭს. მან მეორე ტურში გასვლა მოახერხა, თუმცა შემდეგ თავისი კანდიდატურა მოხსნა.



მმართველ პარტიაში ადასტურებენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ზუგდიდური ვოიაჟები და დაპირებების ფრქვევა სწორედ რუსლოვსის კანდიდატურას უკავშირდება.

რულოვსის ფაქტორმა „ოცნებას“ დაავიწყა, რომ სხვა რეგიონებშიც აქვთ არჩევნები მოსაგები.

❖ ❖ ❖

მერების რიგგარეშე არჩევნები ხუთ მუნიციპალიტეტში: მარნეულში, ზესტაფონში, ხულოში, ჭიათურასა და ზუგდიდში გაიმართება; საკრებულოების შუალედური არჩევნები კი – საგარეჯოში, ახმეტაში, ადიგენში, ტყიბულში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ოზურგეთსა და წყალტუბოში.

– არჩევნები გაიმართება მიმდინარე წლის 19 მაისს, საერთო ჯამში, რვავე მუნიციპალიტეტის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნები გაიმართება 26 საარჩევნო უბანზე. გარდა ამისა, დღევანდელ სხდომაზე ცესკო-მ დანიშნა ხუთ მუნიციპალიტეტში მერების რიგგარეშე არჩევნები და ხუთივე მუნიციპალიტეტში, საერთო ჯამში, არჩევნები გაიმართება 362 საარჩევნო უბანზე. 19 მაისს მთელი საქართველოს მასშტაბით შუალედური არჩევნები გაიმართება საქართველოს პარლამენტის მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში, ასევე გაიმართება საკრებულოს შუალედური არჩევნები, მერების რიგგარეშე არ-

**მეოთხე მერობის კანდიდატ გიორგი შენგელიას ბანკისა და ცალკე პირების ვალი ნახევარ მილიონ დოლარს აღწევს (ნაწილი დეკლარაციაში მითითებული აქვს). რაც მითითებული არა აქვს, მთელმა ზუგდიდმა იცის. დეკლარაციის მიხედვით, შემოსავალიც არაფერი აქვს, რომ ამ ვალების ყოველთვიური პროცენტი იხადოს, რომც გაიმარჯვოს, ზუგდიდის მერის ხელფასი 3.000 ლარს არ აღემატება და რით აპირებს ამ ვალების გასტუმრებას, გაუგებარია.**

ჩევნები ხუთ მუნიციპალიტეტში. ამ არჩევნებში რეგისტრირებულია 410.750 ამომრჩეველი და, საერთო ჯამში, ეს არის 410 საარჩევნო უბანი, – განაცხადა ცესკოს წარმომადგენელმა ანა მიქელაძემ.

მისივე თქმით, ცესკო-მ განსაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა, მათ შორის საინიციატივო ჯგუფებისთვის კანდიდატების წარდგენის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა.

– წარსადგენი ხელმოწერების რაოდენობა შუალედური არჩევნებისა და მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის განსხვავებულია, რაოდენობა განისაზღვრება კანონმდებლობით და ეს უნდა იყოს რეგისტრირებული ამომრჩევლების 1%.

გარდა ამისა, დღევანდელ სხდომაზე ცესკო-მ მიიღო საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკები. დღეიდან საინიციატივო ჯგუფებსა და ასევე პარტიებს, რომლებსაც სურთ, მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ არჩევნებში, 2 აპრილის ჩათვლით შეუძლიათ, მიმართონ საარჩევნო ადმინისტრაციას რეგისტრაციის გავლის მიზნით.

ამის შემდეგ წარადგენენ ხელმოწერებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მეორმოცე დღისა და საბოლოოდ მოხდება კანდიდატების რეგისტრაცია, – აღნიშნა მიქელაძემ.

# ნინო ბურჯანაძე: „თუ ვინმე სააკაშვილთან გარიგებას დააპირებს, ჩემი პარტიის წევრი აღარ იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

რაც უფრო ცოტა დრო რჩება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, მით უფრო აქტიურდება სხვადასხვა სახის თანამშრომლობა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ზოგმა პარტიამ უკვე დაიწყო ბლოკების შექმნაზე ზრუნვაც.

ვისთან მართავს კონსულტაციებს, რა პასუხი აქვს სააკაშვილთან მისი გარიგების შესახებ ჭორზე, აქვს თუ არა აზრთა სხვადასხვაობა თანაპარტიელ გუბაზ სანიკიძესთან, რას ფიქრობს თავისი ვაჟის პოლიტიკაში მოსვლაზე და ხომ არ შეუცვლია პოზიცია ნატოსთან და რუსეთთან ურთიერთობის ხედვაზე? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.



***– როგორია თქვენი პოლიტიკურ გეგმები და რა ტიპის მუშაობა მიმდინარეობს? უკვე დაწყებულია რიგ პარტიებს შორის თანამშრომლობა, ბლოკების შექმნა და ა.შ. მხარს უჭერდით ერთიანი ფრონტით ბრძოლას ივანიშვილის წინააღმდეგ.***

– მე არავის წინააღმდეგ ვიბრძვი. მე ივანიშვილის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვი, არამედ მე ვიბრძვი იმისთვის, რომ ქვეყანას გაუჩნდეს ნორმალური განვითარების შანსი. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ ივანიშვილი და მისი უმრავლესობა ხელისუფლებიდან უნდა წავიდნენ. ეს სულაც არ არის სასიხარულო, მაგრამ ისე გაიხადა „ქართულმა ოცნებამ“ საქმე, რომ ქვეყნის ერთადერთი შანსი ნამდვილად არის ის, რომ ის ხელისუფლებას ჩამოშორდეს.

მთავარი ამოცანაა, რომ ხალხს მიეცეს ობიექტური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, პარლამენტი, რომელიც გადამწყვეტი გახდა ქვეყნისათვის, იყოს მართლა ადეკვატური და სალი აზრის გამომხატველი. უმნიშვნელოვანესია, რომ საარჩევნო გარემო შეიცვალოს, ჩატარდეს სამართლიანი და ობიექტური არჩევნები და ძალა, რომელიც მართავს დღეს საქართველოს, შეიცვალოს ერთი ან რამდენიმე ძალის მიერ. რამდენიმე ძალის მიერ შეიცვალოს და იყოს კოალიციური მოქმედებები.

***– ვისთან აწარმოებთ პირადად თქვენ მოლაპარაკებებს?***

– ამ წუთში არიან ცალკეული პოლიტიკური ლიდერები, რომლებთანაც საუბრის დისკომფორტი არ მაქვს, თუმცა ყველაფერში არ ემთხვევა ჩვენი მოსაზრებები. მათთან ვსაუბრობ სხვადასხვა ფორმატსა და ფართო თანამშრომლობის შესაძლებლობაზე. ოცეულის ფარგლებში ვსაუბრობთ და მოქმედებებსაც ვახორციელებთ იმ თემაზე, რასაც ჰქვია საარჩევნო გარემოს შეცვლა.

***– ეს ფორმატი ცნობილია.***

– დიახ. ეს ის ფორმატია, სადაც პოლიტიკური დისკომფორტები გვერდზეა გადაწეული. ეს არის ერთადერთი თემა, სადაც ყველა – სიმპათიის, ანტიპათიის, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ვიყოთ ერთი მაგიდის ირგვლივ. ეს მნიშვნელოვანი თემაა საარჩევნო თვალსაზრისით.

რაც შეეხება უფრო ფართო კოალიციას, ამაზე რამდენიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან მაქვს საუბარი.

***– ვისთან ერთად განიხილავთ ბლოკსა თუ კოალიციას?***

– ბლოკამდე ჯერ ძალიან ადრეა, იმიტომ, რომ არჩევნებამდე წელიწად-ნახევრით ადრე ბლოკებზე საუბარი ნამდვილად არასერიოზული და არასწორია. ამიტომ ამ ეტაპზე დეტალებზე ვერ ვისაუბრებ.

***– მაშინ, ის მაინც მითხარით, ვისთან გამორიცხავთ ამ თემებზე საუბარს?***

– ნაციონალურ მოძრაობასთან და ბოკერიას პარტიასთან ბლოკში რომ არ ვიქნებით, მე მგონი, გასაგებია.

***– იდეოლოგიურ თანხვედრას ეძებთ, ვისთან ერთადაც შესაძლოა გაერთიანდეთ?***

– არა მარტო იდეოლოგიაზეა საუბარი. ჩემთვის მიუღებელია ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობა და ეს თქვენ ძალიან კარგად იცით. საუბარი მაქვს ორივე ფრთაზე, მით უმეტეს სამომავლოდ მათთან რაიმე ბლოკზე საუბარი ზედმეტია.

***– ასეთი ინფორმაცია თუ ჭორიც არსებობს, რომ ბურჯანაძე სააკაშვილს გაურიგდა. რა პასუხი გაქვთ?***

– არ მაინტერესებს. მაგ ტიპის ამორალურ და სულელურ, „ქართული ოცნების“ შემოგდებულ ჭორზე ნამდვილად არ ვაპირებ კომენტარის გაკეთებას. მე არ ვაპირებ იმ ადამიანების გადარწმუნებას, ვინც შეიძლება მსგავსი სისულელე ერთი წამითაც კი დაიჯეროს. თუმცა, არა მგონია, ასეთი ადამიანები არსებობდნენ. ეს არის პოლიტიკური კონიუნქტურა, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობს ივანიშვილი. ანუ ვინც ჩემთან არ არის, სააკაშვილთან არის თურმე. თუ ვინმე ამას დაიჯერებს, იმ ადამიანებთან ლაპარაკს ნამდვილად არ ვაპირებ.

***– ეს გარკვეულწილად წარმოშვა თქვენი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გუბაზ სანიკიძის განცხადებებმა. მისი შეფასებები, რომ სააკაშვილი იზრდება, სწორ გზავნილებს აჟღერებს და ა.შ. თქვენთან თანხვედრაშია?***

– ყველა სიტყვა შეიძლება თანხვედრაში არ იყოს და აბსოლუტურად ყველა ნაწილში არ ემთხვეოდეს ჩვენი მოსაზრება, მაგრამ გუბაზ სანიკიძეს არსად უთქვამს, რომ ჩვენ ვაპირებთ სააკაშვილთან თანამშრომლობას. სანიკიძემ თქვა, რომ სააკაშვილი არის ფაქტორი პოლიტიკაში. სამწუხაროდ, სააკაშვილი პოლიტიკაში ფაქტორია. ის, რომ ჩვენ არ გვინდა, რომ ეს ასე იყოს, ეს არ ნიშნავს, რომ ობიექტური რეალობა სხვანაირია. სააკაშვილი დღეს რომ ფაქტორია, ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება და არა ნინო ბურჯანაძის.

მე და ჩემი პოლიტიკური გუნდი რომ მოვსულიყავით ხელისუფლებაში, არც სააკაშვილი იქნებოდა ფაქტორი და არც ნაციონალური მოძრაობა. ივანიშვილის თამაშმა და კოჰაბიტაციამ განაპირობა ეს შედეგი. 2012 წელს ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერდა 300.000 ადამიანი, ახლა კი 800.000 უჭერს.

***– სანიკიძის შესახებ იმიტომაც გკითხეთ, რომ ასეთი აზრიც გაჩნდა, ხომ არ არის აზრთა სხვადასხვაობა ბურჯანაძის პარტიაში. რა პასუხი გაქვთ?***

– ჩემს პარტიაში თუ ვინმე დააპირებს



## „დიახ, სააკაშვილი პოლიტიკაში ფაქტორია... სანიკიძეს არსად უთქვამს, რომ მასთან თანამშრომლობას ვაპირებთ“

სააკაშვილთან რაიმე ტიპის გარიგებას, ამას გამოვრიცხავ, მაგრამ თეორიულად რომ წარმოვიდგინოთ, რომ ჩემს პარტიაში ვინმე დააპირებს სააკაშვილთან ღია ან ფარულ გარიგებას, ის მეორე წუთში ჩემი პარტიის წევრი აღარ იქნება. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია.

ასეთი ჭორიც გაავრცელეს, რომ გუბაზ სანიკიძე მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. გუბაზ სანიკიძე წელიწად-ნახევარია, საქართველოდან ფიზიკურად არ გასულა, საზღვარი არ გადაუკვეთია. მე ძალიან კარგად ვიცი, საიდანაც მოდის ეს ბინძური ჭორები. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას ადეკვატურ შეფასებას მივცემთ.

***– სანიკიძემ რუსეთთან ურთიერთობაზეც გააკეთა განცხადება.***

– სანიკიძეზე ნუ მაკეთებინებთ კომენტარს.

***– განმარტებებს კი არ გთხოვთ, თქვენი აზრიც მაინტერესებს. მან თქვა, ხმები მისდის, რომ ივანიშვილი გეგმავს, საქართველო ჩააბაროს პუტინს. თქვენც ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ან თქვენც ხომ არ მოგსვლიათ ასეთი ხმები?***

– ბატონი გუბაზის ინტერვიუზე თვითონ ბატონი გუბაზი გაგცემთ პასუხს. ის საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია, რომ თავისი ახსნა-განმარტებები გააკეთოს.

რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკის შეფასებას, ჩემი და ჩემი პარტიის წევრების შეფასებები ერთმანეთს ემთხვევა. ზოგმა შეიძლება უფრო მკვეთრად გამოთქვას ეს მოსაზრებები, ზოგმა – ნაკლებად. ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი ნაბიჯი არ იდგმება იმისთვის, რომ საქართველოს პრობლემები მოგვარდეს. ამ დროს ვამბობთ, რომ რუსეთთან ურთიერთობები დალაგებულია. როდესაც საზღვარი გადმოდის ლამის ყოველდღიურად, ყოველ შემთხვევაში, სისტემატურად და ამ დროს ივანიშვილი აცხადებს, რომ სტრატეგიული მოთმინება უნდა შევინარჩუნოთ და ხმა არ ამოვიღოთ, ეს რას ნიშნავს?! ვინმემ მისი ეზო რომ გადასწიოს და მის ეზოში ვინმემ სახლი ააშენოს, ხმას არ ამოიღებს?!

***– ცოტა ხნის წინ იყავით მოსკოვში. უკვე მეორედ დაემთხვა რუსეთში თქვენს ვიზიტს, როდესაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა რაღაც ინციდენტები მოაწყვეს ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე.***

– არა, არაფერი არ დამთხვევია. ამჯერად ნამდვილად არაფერი მომხდარა ხურვალეთში. ეს იყო აბსოლუტური პროვოკაცია. როგორც კი გავიგე ეს ინფორმაცია, მზად ვიყავი, ეს საკითხი დამეყენებინა ჩემს რუს კოლეგებთან. ვეცადე ინფორმაციის გადამოწმება და აღმოჩნდა, რომ ეს იყო აბსოლუტური პროვოკაცია. სანამ ამ პროვოკაციებს თავს არ დავანებებთ, სერიოზული საფრთხეების წინაშე ვიქნებით.

***– არაფერი მომხდარა?***

– არაფერი მომხდარა.

***– რა ფოტოებიც ვნახეთ, რომ გადმოსული იყვნენ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ეს არაფერს ნიშნავს?***

– არსად არავინ გადმოსულა. ჩვენს ტერიტორიაზე დიდი ხანია გადმოსული არიან.

ამას სჭირდება ძალიან სერიოზული მუშაობა. დიახ, ამას სჭირდება ეფექტური კონსულტაციები და კომუნიკაცია რუსეთთან. მნიშვნელოვანი იყო, ხელისუფლებას ემოქმედა, თუმცა მან ვერც ერთხელ გაბედა, რომ ღია დიალოგი დაეწყო ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხებზე.

***– დაინახეთ პოლიტიკური ნება რუსეთის მხრიდან, რომ თანამშრომლობისთვის მზად არიან?***

– მე ამას სულ ვადასტურებ. ეს პოლიტიკური ნება არსებობს, მაგრამ ამ პოლიტიკური ნების სარეალიზაციოდ და განსახორციელებლად საჭიროა, ქართული მხარე საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდეს და არა სხვა ქვეყნების ინტერესებზე.

***– ვის ინტერესებზე ზრუნავს ქართული მხარე?***

– ყველა ქვეყნის – დასავლეთის, ამერიკის, სხვა სახელმწიფოების, მაგრამ, საკუთარ ინტერესზე რომ არ ფიქრობს, ეს აბსოლუტურად ნათელია და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

***– მოსკოვში ვიზიტისას კიდევ ერთხელ გააჟღერეთ ნატოზე გზავნილი, რომ არ უნდა გავწევრიანდეთ. ამას მოჰყვა არა მხოლოდ ოპონენტებისგან თქვენი კრიტიკა, არამედ მათგანაც, ვისთანაც გარკვეულ საკითხებზე თანამშრომლობთ.***

– მაგალითად?

***– მაგალითად, უსუფაშვილის მხრიდან.***

– გასაგებია. ამ საკითხში ჩემი და ბატონი დავითის პოზიცია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, ეს არ გვიშლის ხელს, აქტიურად ვითანამშრომლოთ ქვეყნის შიდა საკითხებთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ საშინაო საკითხებთან დაკავშირებით ძალიან ბევრ საკითხში ჩვენი პოზიციები ემთხვევა. ბატონ დავითს ნატოსთან დაკავშირებით თავისი ხედვა აქვს, მე – ჩემი. დრო გამოაჩენს, რომელია სწორი.

***– თუ ხელისუფლებაში მოხვალთ, რეალურად დაიწყებთ ამ თემაზე მუშაობას, რომ ნატოზე უარი თქვათ?***

– რას ნიშნავს, ნატოზე ვიტყვით უარს, ნატოში გვიღებენ?!

***– ჩვენი პოზიციის ოფიციალურად გაჟღერებას ვგულისხმობ.***

– დღევანდელ სიტუაციაში მიმაჩნია, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არარეალისტურია. რეალისტურიც რომ იყოს, იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ჯარები დგას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ეს ჩვენთვის მავნეა. ჩვენ უნდა ვთქვათ – დიახ, ძალიან აქტიურად ვითანამშრომლებთ ევროკავშირთან, დიახ, ძალიან აქტიურად ვითანამშრომლებთ იმავე ნატოსთანაც ჰუმანიტარულ საკითხებში, მაგრამ ნატოს ჯარები საქართველოში არ განლაგდება.

***– აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთო თქვენი ვაჟი ანზორ ბიწაძე, პარასკევს გაახმოვანა ეს ინფორმაცია. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?***

– ის, პრინციპში, ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ჩვენს საქმიანობაში. ძალიან აქტიური იყო, დაწყებული 2003 წლიდან, პარტიაში ყველა საფეხური გაიარა, რიგითი წევრიდან დაწყებული, აქტიურად მუშაობდა ახალგაზრდებთან, აქტიური მონაწილე იყო ჩვენი ყველა მოქმედებების. პრინციპში, ჩართული იყო ამ მუშაობაში თავიდან ბოლომდე, თუმცა, თვლიდა, რომ ღია პოლიტიკაში გასასვლელად მას კიდევ სჭირდებოდა გარკვეული გამოცდილება და მომზადება. ახლა თავად ჩათვალა, რომ უკვე შეუძლია, როგორც პარტიის ახალგაზრდა სახეს, გამოვიდეს თავისი სიტყვებითა და დამოკიდებულებით.

მე ამას მხარი დავუჭირე, ვთვლიდი, რომ ადრეც შეეძლო ამის გაკეთება, თუმცა თვითონ ეკიდება საკუთარ თავს კრიტიკულად და პასუხისმგებლობით. იმასაც ხვდება, რომ, ვინაიდან ჩემი შვილია, შესაძლოა, მის მიმართ მეტი მოთხოვნა იყოს საზოგადოების მხრიდან, მეტი კრიტიკა და მოლოდინი.

ვფიქრობ, რომ საინტერესო ინტერვიუ იყო ტელეეთერში. მე ალბათ ბოლომდე ობიექტური ვერ ვიქნები, მაგრამ მგონია, რომ კარგი სტარტი იყო. ახლა ბევრი რამე მასზეა დამოკიდებული, როგორ გააგრძელებს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

# გოგი წულაია: „სახურავი გადახურეს ახალი კრამიტით, მაგრამ მალევე დაზიანდა და ახლა ბრეზენტით აქვთ გადაფარებული“





გელათის სამონასტრო კომპლექსში უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს პარტია „თავისუფალი საქართველო“ აპროტესტებს.

პარტიის იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გოგი წულაია, აცხადებს, რომ ტაძრის გადახურვა უხარისხოდ მოხდა, რის გამოც სახურავის ნაწილი დაზიანდა და მასზე ე.წ. ბრეზენტია გადაფარებული.

– სამუშაოები შესრულდა უხარისხოდ. სახურავი გადახურეს ახალი კრამიტით, მაგრამ მალევე დაზიანდა და ახლა ბრეზენტით აქვთ გადაფარებული. გამოდის, რომ გელაის ტაძარზე სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა. ამასთან, პრობლემაა ვიზიტორთა ცენტრშიც. შენობა რამდენიმე თვის წინ აშენდა, მაგრამ უფუნქციოდაა. წყლის შეყვანა ვერ მოხერხდა, არ არსებობს შესაბამისი აუზი, საიდანაც ცენტრს წყალი მიეწოდება. გააკეთეს წყლის შემკრები აუზი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აუზი უფრო მაღლა იყო, ვიდრე წყალი და მერე დაიწყეს წყლის ძებნა. ეს არის დანაშაული, რადგან [illegible] ცოტა თანხები იხარჯება. ამასთან, დანაშაულია იმიტომ, რომ ასეთი მნიშვნელობის ისტორიული ძეგლი და ტურისტული ადგილი ამდენი ხანი ვერ მოწესრიგდა, – განაცხადა გოგი წულაიამ.

გელათის ტაძარზე სამუშაოებს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, კულტურის და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი აწარმოებს.

ცენტრის წარმომადგენელი ტარიელ მკვრვალიშვილის განცხადებით, სახურავის გადახურვა შემოდგომაზე დაიწყო და შემდეგ არამდგრადი ამინდების გამო შეჩერდა. მისი თქმით, გადახურვა განახლდება და რამდენიმე თვეში დასრულდება.

მედიანიუსი

# რუსეთში საქართველოს საზღვაო სანაპიროზე ნატოს პოზიციების გაძლიერების გამო პანიკაა

მარიამ მჭედლიშვილი

ევროატლანტიკურ, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან ერთად, დასახელებულია საქართველოს საგარეო უწყების საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად. შესაბამისი სტრატეგია ორი დღის წინ ქვეყნის მთავრობამ დაამტკიცა.

ოპოზიციას, წესით, ამ დოკუმენტის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონოდა, თუმცა ოპონენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას 3-წლიან სტრატეგიაში კონკრეტული ღონისძიებების არარსებობის გამო.

სანამ ქვეყნის შიგნით პოლემიკა გრძელდება, მსოფლიოში მძაფრდება გეოპოლიტიკური დაძაბულობა და კონფლიქტი დასავლეთსა და რუსეთს შორის ისეთ ცხელ წერტილებში, როგორებიცაა ახლო აღმოსავლეთი, უკრაინა, სამხრეთი კავკასია და ვენესუელა.

ჩრდილოელი მეზობლები ვერ ეგუებიან ამერიკელებისა და ნატოს მხრიდან შავი ზღვის რეგიონით დაინტერესებას, ასევე საქართველოსა და უკრაინის უფრო მეტად გაატლანტიკურებას. ნატო მიიჩნევს, რომ ამ ზღვაზე ალიანსის სამ წევრთან ერთად ჰყავს ისეთი პარტნიორები, როგორებიც არიან საქართველო და უკრაინა.

ნატოს ოფიციალური პირების განცხადებები შავი ზღვის რეგიონში საქართველოსა და უკრაინასთან თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე რუსეთში პანიკას იწვევს. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ რეგიონიდან ნატო აძლიერებს დაძაბულობასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას რუსეთზე. აშშ-მ შავ ზღვაზე ადრევე იზრუნა და, მაგალითად, ბათუმში თავისი სახსრებით მოაწყო სამხედრო კატერების სადგომი.

ამასთან, რუსი სამხედრო სპეციალისტები თავს იმით იმშვიდებენ, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის ჩამოწერილი ამერიკული გემების გადაცემით ქართული და უკრაინული ფლოტები ვერ მომძლავრდება. მათი შეფასებით, საქართველოს სანაპიროზე ამერიკელების ამოცანაა, შეიქმნან სტრატეგიული პლაცდარმი კავკასიაში. ამის გამო ვაშინგტონი ინტერესს იჩენს ყველა ქართული პორტის მიმართ.

სამხედრო ექსპერტები საქართველოს ნატოში გაწევრიანებას არ ელოდებიან. მათი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ თბილისი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს თავის ტერიტორიებად თვლის, ნატოს კი პრობლემური სახელმწიფო არ სჭირდება.



ამერიკელ ანალიტიკოსებში არიან როგორც საქართველოს ნატოში დაჩქარებულად მიღების მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიღების წინაპირობებს ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსიც ხედავს. ამ კატეგორიის ექსპერტების დასკვნით, საქართველოში ჩამოსულ ნატოს გენმდივან ნორვეგიელ იენს სტოლტენბერგს ტყუილუბრალოდ არ უხსენებია ნორვეგიის ნატოში გაწევრიანება და სტალინის დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ.

სტოლტენბერგმა გაავლო ისტორიული ანალოგია და გაიხსენა, რომ 1949 წელს სტალინსაც არ უნდოდა ნორვეგიის შესვლა ნატოში. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, დაესწრო და აშშ-ის პრეზიდენტ ტრუმენთან გაემართა შეხვედრა. ტრუმენმა ამაზე თავი შეიკავა. ნორვეგია გახდა ნატოს წევრი, ოღონდ ის ცდილობდა, არ გაეხადა თავისი ტერიტორია ნატოს სამხედრო პლაცდარმი.

რუსი ექსპერტები ასკვნიან, რომ ნატოში საქართველოს შესვლას, ფაქტობრივად, მისი ყველა წევრი უჭერს მხარს. სტოლტენბერგი ისტორიას იხსენებს იმისთვის, რომ გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოც ფრთხილად იყოს.

ექსპერტები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ საქართველოს შესვლა ნატოში გააღიზიანებს არა მარტო რუსეთს, არამედ, ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებს. პრობლემები შეექმნება მეზობლებთან ურთიერთობასა და სტაბილურობას.

რუსეთის სახელმწიფო დუმაში დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის საზღვრებთან იარაღის ჟღარუნი საქართველოსა და უკრაინას ნატოსთან არ მიაახლოებს.

მათთვის იარაღის ჟღარუნია ნატო-საქართველოს მრავალეროვნული წვრთნები, რომლებიც ამ დღეებში დამთავრდა, ასევე, შავი ზღვის აკვატორიაში საქართველოსა და უკრაინის მჭიდრო თანამშრომლობა ნატოსთან.

მსოფლიოში სიტუაცია ისეთი ტემპებით იცვლება, რომ საქართველოს ნატოში შესვლის დაჩქარება გამორიცხული არ არის.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ზვიადი რომ ჩამოვიდა 1993 წელს, ლანჩხუთის გამგებლად დამნიშნა“

## „სუფრაზე 7 სადღეგრძელო თქვა, ბოლომდე არ ცლიდა ჭიქას“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობასთან“ იხსენებს 1993 წლის ეპიზოდს, როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გროზნოდან ჩამოსვლის შემდეგ ლანჩხუთში იმყოფებოდა.

***– ბატონო ბიძინა, როგორ აფასებთ იმ რევერანსს, რომელიც ახლა გააკეთეს ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად? ნაცმოძრაობის მხრიდან ამას ერთგვარი უარყოფითი განცხადებებიც მოჰყვა, რომ ეს იყო „ოცნების“ პიარი წინასაარჩევნოდ.***

– თვითონ ოდესმე თუ გახსენებიათ გამსახურდია და რაიმე დადებითი თუ უთქვამთ? პირიქით, ლანძღავდნენ მიშაც და სანდრაც. ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღნიშვნას მე დადებითად ვაფასებ.

***– სანდრამ ადრე თქვა, ზვიად გამსახურდია ბანდის მეთაური იყოო. 31 მარტს კი ჯერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივიდნენ, შემდეგ მიშას საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში გადაინაცვლეს. მიშაც ჩართეს და განცხადებებიც გააკეთეს. ხელისუფლებამ დაიწყო ზვიად გამსახურდიას დამსახურებების აღიარება.***

– დიახ, იქნებ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებაც დაიძრას ადგილიდან. მე მაგის იმედი უფრო მაქვს. სირცხვილია, არა მარტო ის, რომ საქმე არ იყო გამოძიებული, არამედ დაფასებული რომ არ გახლდათ. კარგია, თუ ხელისუფლება ამას ხედავს. ამისთვის ხელისუფლებას რატომ უნდა დასცინო და გააქილიკო. კარგი ნაბიჯი რაც არის, უნდა შეუქო. გასაკრიტიკებელის მეტი რა არის.

***– გამოძიებასთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თქვით, რომ მართლაც სირცხვილი იყო პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოუძიებლობა. კარგია, რომ ეს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც გაიაზრეს. ამ განცხადებებს რეალური საქმე მოჰყვება?***

– ხელისუფლების წარმომადგენლების ამ განცხადებებს რეალური გადაწყვეტილებები უნდა მოჰყვეს, თორემ გამსახურდიას მკვლელობის გამოუძიებლობა უფრო მეტად სამარცხვინო იქნება, ვიდრე აქამდე იყო. უბრალოდ, არ იქნება კარგი არც ხელისუფლებისთვის და არც, ზოგადად, საქართველოსთვის.

ვფიქრობ, ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები რეალურ გადაწყვეტილებებში აისახება, გამოძიება გაგრძელდება და ნაყოფს გამოიღებს.

***– როგორც ჩანს, „ოცნებაში“ კონსერვატორული მიმართულების ჯგუფის წარმომადგენლების გავლენაა. ეს მე ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ბიძინა ივანიშვილის განცხადებებშიც ამოვიკითხე. იგივე ზვიად ძიძიგურის რჩევა იყო ალბათ.***

– სწორი წარმოდგენა შეგქმნიათ. ეს გასაკვირიც არ არის. მახსოვს, როდესაც „ოცნებაში“ გავერთიანდით, მაშინ ჩვენ ჩვენი ბიოგრაფიები დაგვაწერინეს. მე დავწერე ზვიადთან დაკავშირებით რაც იყო. ამაზე ბიძინა ივანიშვილს უთქვამს, ეს თემა უფრო უნდა განავრცოთო.

***– რა გეწერათ?***

– მე ერთი ფრაზა მეწერა, გამსახურდიას თანამებრძოლი ვიყავი-მეთქი. მაშინ ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, ეს თემა განავრცოსო, მერე დავუმატე ის, რაც იყო ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებული.

ზოგადად, როდესაც ჩვენ ვიყავით კოალიციაში, გვეკითხებოდნენ ხოლმე, როგორ არის, როგორ იყო, რა ხდებოდაო. როცა ადამიანმა არ იცის, რა ხდებოდა, კითხვა სირცხვილი არ არის. როცა ადამიანმა არ იცის, რა ხდებოდა, ზვიადი რა პიროვნება იყო, როგორი გავლენა მოახდინა მან პროცესებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან დაწყებული, სიტყვითა და საქმით, ამას გვეკითხებოდნენ. დარწმუნებული ვარ, ზვიად ძიძიგურსაც ჰკითხეს და მან გარკვეული მიმართულება მისცა ალბათ.



***– ზვიად გამსახურდიას მკვლელობას წინ უძღოდა მთელი რიგი ტრაგიკული მოვლენები სახელმწიფო-კრიმინალური-სამხედრო გადატრიალების სახით. დღემდე ეს ფაქტი გამოძიებული არ არის და დამნაშავეები დასჯილი არ არიან. თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუასთვის დღემდე პასუხი არავის მოუთხოვია. ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიებას გადატრიალების ფაქტის გამოძიებაც შეიძლება მოჰყვეს?***

– წესით, ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიებას გადატრიალების ფაქტის გამოძიებაც უნდა მოჰყვეს, ოღონდ როგორია იურიდიული საკითხები ამ საქმესთან დაკავშირებით, ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს თუ არა, არ ვიცი. ლოგიკურად, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება თუ მოხდა, მას გვერდითი ფაქტორებიც ახლავს.

***– მიზეზებსა და მოტივებზე როცა იქნება საუბარი, იქ ხომ უნდა ითქვას, მკვლელობის მიზეზი რა იყო.***

– კი, მაგრამ ეს გამოძიება ვერ წავა გადატრიალების გამოძიებისკენ. რაღაც ფაქტები დადგინდება, მაგრამ ეს არ იქნება გადატრიალების გამოძიება. აქ დადგენილი ფაქტების გამოყენება შეიძლება შემდეგ გადატრიალების საქმის გამოძიებისას.

***– ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების პოლიტიკური ნება არის?***

– რაც გახმოვანდა, იქიდან თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად არის.

***– კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა, არ ვიცი, დღეს თუ არის გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების პოლიტიკური ნებაო.***

– კონსტანტინე წარსულიდან გამომდინარე ეჭვობს და შეიძლება, ლოგიკურიც არის, მაგრამ მე უფრო ახლოს ვარ ამ ხელისუფლების გარკვეულ შტოებთან და მე უფრო მეტი შემიძლია ვთქვა – ნამდვილად არის პოლიტიკური ნება.

***– დღესაც კი არაერთხელ მოვისმინე, რომ ზვიადისტებმა დაღუპეს გამსახურდია. ეს ხალხი წლების განმავლობაში იცავდა ზვიად გამსახურდიას, მის სახელსა და იდეებს. ამისთვის ტყვიებიც მიიღეს, რეპრესიებიც გადაიტანეს. ეს ბრალდება კიდევ რაღას ნიშნავს?***

– ეს არის ამ საკითხის მიმართ ცინიკური დამოკიდებულება. ვინც ამას ამბობს, ის არასოდეს ყოფილა ზვიადის მომხრე და არც გულშემატკივრული პოზიციიდან ლაპარაკობს. მავანმა მორალური და სხვა პასუხისმგებლობა რომ აიცილოს, იმ მოვლენების გამომწვევი ფაქტორების მიჩქმალვა უნდათ ზოგადი ცინიკური მსჯელობებით.

***– ზვიად გამსახურდიასთან ახლო ურთიერთობა გქონდათ?***

– ძმაკაცები არ ვყოფილვართ, მაგრამ მასთან არაერთი შეხვედრა მქონდა, იცოდა, ვინ ვიყავი. 1993 წელს ლანჩხუთში რომ ჩამოვიდა, მაშინაც ლანჩხუთის მმართველად დამნიშნა. იმ პატარა მონაკვეთში სუფრაზეც ერთად ვიყავით. იქ ერთი პატარა ეპიზოდი იყო, ზვიადმა მითხრა, გვითამადეო. ვუთხარი, ბატონო ზვიად, თქვენ ხართ მაგიდასთან, მთელი საქართველოს სასახელო კაცი და მე ვითამადო-მეთქი? ეს არ გამოვა, თქვენ გვითამადეთ-მეთქი. ზუსტად 7 სადღეგრძელო დალია, უფლის, სამშობლოს, ღვთისმშობლის, წინაპრების, ჩვენი მომავლის – მოკლედ, კარგად გვითამადა. ჭიქებს ბოლომდე არ ცლიდა. ყველა სადღეგრძელოზე ჭიქას მოსვამდა და დადებდა.

***– ხალხი როგორ ხვდებოდა?***

– ძალიან დიდი სიყვარულით. ხომ იცით, მაშინ როგორი სიტუაცია იყო. ლანჩხუთი მხედრიონსა და ე.წ. სამთავრობო ჯარებს ჰქონდათ დაკავებული. ზვიადის მოსვლის შემდეგ ადგილობრივი მხედრიონი ტყეში იყო გახიზნული და არეული სიტუაცია იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხი ძალიან დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ხვდებოდა, შიშიც იგრძნობოდა, რადგან არ იცოდნენ, მოვლენები როგორ განვითარდებოდა.



***– თქვენ პრეფექტად დაგნიშნათ?***

– პრეზიდიუმი ვერ იკრიბებოდა. ზვიადმა მითხრა, თქვენ იქნებით, გენაცვალე, ლანჩხუთის რაიონის მმართველიო. მმართველი რატომ-მეთქი? ახლა რაიონს მმართველი სჭირდება, პრეზიდიუმი ვერ იკრიბება და ჩემი პირადი განკარგულებით გნიშნავო. იქვე დაწერა განკარგულება, სამდივნო ახლდა, დაბეჭდეს და გაავრცელეს. 6 დღის განმავლობაში ვიყავი ლანჩხუთის მმართველი.

***– ზვიად გამსახურდიას ხელით დაწერილი განკარგულება გაქვთ?***

– არა, კანცელარიაში უნდა იყოს, თუ არ დაწვეს და გაანადგურეს. აფხაზეთში მებრძოლებთან დაკავშირებითაც გამოსცა განკარგულება. იყო მოწოდება, უნდა გავერთიანებულიყავით და აფხაზეთი დაგვებრუნებინა. ეს ტექსტი სოსო ჟღენტს უნდა ჰქონოდა, მაგრამ, არ ვიცი, სად დაიკარგა. სოსოც გარდაიცვალა. იმ განკარგულებას რა ბედი ეწია, არ ვიცი.

თუმცა, ის განცხადება გავრცელდა, მხედრიონსაც მიაწოდეს. იქაური მხედრიონის უფროსი თოიძე მოვიდა, ზვიადს შეურიგდა. ვისაც მკვლელობები არ ჰქონდა ჩადენილი, ზვიადი ყველას პატიობდა და მოუწოდებდა, აფხაზეთში გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ. დიდი შერიგება იწყებოდა, მაგრამ ყველაფერი ჩაგვიშალეს.

***– 31 მარტის რეფერენდუმზე რას იტყვით?***

– რეფერენდუმში საქართველოს დამოუკიდებლობას კომუნისტებმა-არაკომუნისტებმა – ყველამ ხმა მისცა. არაქართველებმაც მოგვცეს ხმა. რეფერენდუმის კითხვას, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზეო, 99%-მა მისცა ხმა. საქართველო იყო ერთ მუშტად შეკრული. ამაზე მეტი რა უნდა გაეკეთებინა.

***– ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიამ ტრაგიკული 9 აპრილი შემდეგ საზეიმო თარიღად გადააქცია. ამას ხომ არ მოჰყვება 9 აპრილის, როგორც დამოუკიდებლობის დღის, აღნიშვნა?***

– ვერ გეტყვით. 9 აპრილის მნიშვნელობა შევარდნაძის დროს მიჩქმალული იყო. შევარდნაძეს არაფრით სურდა, დამოუკიდებლობის აღდგენა ზვიად გამსახურდიას მისწეროდა და ყოველთვის 26 მაისს აღნიშნავდნენ. შეიძლება, ეს საკითხიც გადაიხედოს. მკვეთრად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომელი რა თარიღია.

# როცა გზაზე მშობიარობენ ან იხოცებიან

## ონის სამშობიაროს აღდგენაზე მთავრობა უარს ამბობს

მუცელი რომ ასტკივდა, ვიდრე წედისიდან ონამდე ჩააღწევდნენ, ბავშვი პიპილეთის გადასახვევთან მანქანაში გააჩინა. რაჭაში „მთის ამბებს" კიდევ რამდენიმე შემთხვევის შესახებ უამბეს, როცა ორსული არ მიიღეს ონის საავადმყოფოში, არც ამბროლაურში, მშობიარობაზე ტყიბულსა და თერჯოლაშიც უარი უთხრეს და ქუთაისამდე ძლივს ჩაასწრეს. ზემო რაჭის სოფლებში ორმა ორსულმა სახლში იმშობიარა – ამბროლაურში ან ქუთაისში წასვლა ვერ მოახერხეს. გასული წლის ზაფხულში, 24 წლის ფეხმძიმე, ძლიერი სისხლდენით ვიდრე ონიდან ამბროლაურში გადაიყვანეს, ბავშვი დაიღუპა, ქალი ძლივს გადარჩა. ჯანდაცვის სამინისტრო ონში სამშობიაროს აღდგენაზე მაინც უარს ამბობს და ორსულებს ურჩევს, თადარიგი წინასწარ დაიჭირონ.

ონის საავადმყოფოში სამშობიარო განყოფილება 2018 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. სამინისტრო სამშობიაროს გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად რეგიონში შობადობის უკიდურესად დაბალ მაჩვენებელს ასახელებს. 2016 წელს ონის სამშობიაროში 16 ბავშვი დაიბადა.

ონში, ამბროლაურში, ლენტეხსა და ცაგერში, ოთხივე რაიონში ერთად, კვირაში ერთი, იშვიათად კი ორი ბავშვი იბადება. ონის მუნიციპალიტეტში სიკვდილიანობა შობადობას 202%-ით აღემატება. მოსახლეობაც საქართველოში ყველაზე მეტად რაჭაში შემცირდა – 37.4%-ით.

ასეთი კრიტიკული ვითარებაა სტრატეგიულად მნიშვნელოვან, საზღვრისპირა რეგიონში, რომლის ნაწილიც რუსეთს აქვს ოკუპირებული.

„გზაში მივფრინავდით, რომ გადაგვერჩინა", – იხსენებს ონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი ნონა ბაკურაძე 24 წლის ქალის ნაადრევი მშობიარობის შემთხვევას. 15 წელია, რაც სასწრაფოს ექიმად მუშაობს. „კი, ონიდან ამბროლაურამდე კარგი გზაა, უმეტესად მანქანები გზასაც გვითმობენ, მაგრამ 25-28 წუთი მაინც გვჭირდება. ეს დრო პაციენტისთვის შეიძლება გადამწყვეტი იყოს. ონში სამშობიარო სახლის არსებობა აუცილებელია".

აგნეშკა კობერიძე ონში ცხოვრობს. ივნისში მე-6 ბავშვს ელოდება. გადასაწყვეტი აქვს, სად იმშობიარებს.

„მე და ჩემი ქმარი მარტო ვართ აქ. არავინაა, რომ მოვიდეს, ბავშვების მოვლაში დაგვეხმაროს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამშობიარო ახლოს იყოს. რთულია ქუთაისში ან თბილისში წასვლა. ამიტომ, ალბათ მაინც ამბროლაურში მომიწევს. დიდი პრობლემაა ონის სამშობიარო რომ დახურეს. მით უმეტეს, ახალი საავადმყოფოა, ცოტა ხნის წინ ააშენეს. ამბობენ, რომ სპეციალისტები არ ჰყოფნით, ანესთეზიოლოგი და ნეონატოლოგი არ ჰყავთ, მაგრამ მე ასე ვიმშობიარე, მხოლოდ გინეკოლოგთან. ორი შვილი პოლონეთში გავაჩინე, სამი – აქ. პატარა საავადმყოფოა, მაგრამ ყველა ყურადღებას გაქცევს, გეხმარებიან.

ახლა რომ ვიგრძნო, შესაძლოა უკვე მშობიარობა მეწყება, ამბროლაურში უნდა გავიქცე იმიტომ, რომ შემეშინდება. მოასწრებ, ვერ მოასწრებ არავინ იცის. მანქანა უნდა იპოვო, უნდა ჩახვიდე, არ ვიცი...

ონის სამშობიაროს დახურვა განსაკუთრებით ისეთ ოჯახებს შეუქმნის პრობლემებს, რომლებიც უფრო გაჭირვებულები არიან, სოფელში ცხოვრობენ. ჩვენ ონში გვაქვს ბინა, მაგრამ ვინმე თუ ღებშია, ჭიორაში ან გლოლაში, ეს საერთოდ ძალიან დიდი პრობლემაა".

ონის, ცაგერის, ლენტეხისა და ამბროლაურის საავადმყოფოებს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" მართავს, რომლის მესაკუთრეც სახელმწიფოა.

„საერთოდ რომ არ დაეხურათ სტაციონარები და მხოლოდ ამბულატორიები არ დაეტოვებინათ, სახელმწიფომ ამის გამო გამოისყიდა სადაზღვევო კომპანიებისგან ონის, ცაგერის, წალკის და სხვა რაიონების კლინიკები და რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს დაუქვემდებარა. მილიონები გადაიხადა ამაში სახელმწიფომ", – ამბობს „მთის ამბებთან" ინტერვიუში **ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი მარინა დარახველიძე**.



ის ონში, ლენტეხსა და სხვა მაღალმთიან რეგიონებში სამშობიარო სახლების გაუქმებას პერინატალური რეგიონალიზაციით ხსნის.

„ეს პროგრამა საქართველოში 2015 წელს დავიწყეთ. მანამდე ყველა სამშობიარო სახლის შესწავლა მოხდა სიმძლავრეების, განლაგებისა და დაშორების მიხედვით. როდესაც რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე ვსაუბრობთ, ამ საკითხის განხილვის დროს მხედველობაში იქნა მიღებული ორსულთა და რეპროდუქციული ასაკის ადამიანების რაოდენობა, რომელიც ამ რაიონებში ძალიან მცირეა. მე მახსოვს, იმ პერიოდში, წელიწადში 10 მშობიარე ჰყავდათ ონში მიღებული. მოსახლეობას როცა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება უნდა შესთავაზო, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ადამიანური რესურსების დატვირთვა და შემდგომში იქ წარმოებული სერვისების მოცულობა. იმისათვის, რომ მეან-გინეკოლოგმა და ნეონატოლოგმა თავიანთი კვალიფიკაცია შეინარჩუნონ და იქ სერვისი ხარისხიანად მიაწოდონ, ისე, რომ არ იყოს რისკის შემცველი, არსებობს გარკვეული მოცულობა, რომლის ქვემოთაც ზოგადად არ არის რეკომენდებული სერვისის წარმოება. ეს არის წელიწადში 300 მშობიარე. ასეთი დატვირთვა პატარა ქალაქებშიც კი ძალიან ჭირს, არათუ მაგ რეგიონში.

უნდა გავითვალისწინოთ კვალიფიციური მეან-გინეკოლოგი, რომელიც ონში იყო, ჰქონდა კიდეც საკეისრო კვეთის გამოცდილება, მაგრამ ერთი ექიმია, რომელიც თუ არ იქნებოდა, მაგალითად, შვებულების, რაიონიდან გასვლის ან ავადმყოფობის დროს, ძალიან რთული იყო მისი ჩანაცვლება. ნეონატოლოგი საერთოდ არ იყო. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ონიდან ამბროლაურამდე პრაქტიკულად 20 კილომეტრია და ეს გზა არასდროს იკეტება.

***– ქალბატონო მარინა, 20 კილომეტრია ამბროლაურამდე ონის ცენტრიდან. საზღვრისპირა და სხვა სოფლები – ირი, წედისი, შქმერი და სხვა ბევრად შორს არის, მით უფრო, ამ სოფლებიდან ონის ცენტრამდე მანქანას ერთი საათი სჭირდება ცუდი გზის გამო, ზამთარში – უფრო მეტი.***

– მე თვითონ წარმოშობით ამ რეგიონიდან ვარ და ძალიან კარგად ვიცი. მხოლოდ იმაზე აპელირება, რომ შეიძლება შორეული სოფლიდან ჩამოვიდეს, მანძილი მეტი იყოს და ამის გულისთვის იქ რისკის შემცველი სერვისი ყოფილიყო, რეგიონალიზაციის საკოორდინაციო საბჭომ არ გაიზიარა და გადავწყვიტეთ, რომ ამ ხეობაში სამშობიარო დაგვეტოვებინა მხოლოდ ამბროლაურში, სადაც ასევე ძალიან მცირეა მშობიარეთა რაოდენობა.

***– ახლა გზაზე და სახლებში რომ უწევთ ორსულებს ბავშვების გაჩენა, ეს რისკები გაითვალისწინეთ გადაწყვეტილების მიღებამდე?***

– მე ყოფილი მეან-გინეკოლოგი ვარ. დაახლოებით 15 წელი ვმუშაობდი. თბილისშიც მყავდა ასეთი პაციენტები და ყველა მეან-გინეკოლოგს აქვს ასეთი შემთხვევა, როდესაც სასწრაფოს მოუყვანია უკვე ნამშობიარევი.

პერინატალური რეგიონალიზაციის ფარგლებში სამშობიარო სახლები სამ დონედ არის დაყოფილი. პირველი დონეა ამბროლაურში დარჩენილი, ონსა და ლენტეხში აღარ არის საერთოდ. არ არის ასევე ქუთაისთან ახლოს მყოფ რაიონებში, როგორებიც არის თერჯოლა, ხონი. ტერიტორიული პრინციპი, სიახლოვე სამშობიარო სახლთან, უნდა იყოს სამანქანო სვლით დაახლოებით 30 წუთიდან 1 საათამდე. გასათვალისწინებელია, რომ ისეთ შორ ადგილებზე თუ არის ორსული, 9 თვის განმავლობაში ორსულის მეთვალყურეობის დროს ექიმმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, როგორი მშობიარობა ექნება, ფიზიოლოგიური თუ გართულებულია ორსულობა, ეს ქალი არც ამბროლაურში არ უნდა დარჩეს და უნდა გადამისამართდეს სხვაგან.

***– გადამისამართების შემდეგ ხომ უფრო მეტი თანხა სჭირდება ოჯახს?***

– შეუძლებელია, მეორე დონის სამშობიარო სახლი იყოს ონში ან ამბროლაურში, წარმოუდგენელია. ვერ იქნება ფიზიკურად ასეთი დატვირთვის რაიონებში.

***– გართულებული ხელმისაწვდომობა არ შეუწყობს ხელს მოსახლეობის მიგრაციას და კიდევ უფრო არ გააუარესებს ისედაც საგანგაშო დემოგრაფიულ ვითარებას?***

– არ არის ეს სწორი მიდგომა. პერინატალური რეგიონალიზაციის გამოცდილება არ არის მხოლოდ საქართველოს გამოცდილება. ჩვენ გავითვალისწინეთ საერთაშორისო გამოცდილება. აუცილებელია, რომ პაციენტი სწორ დროს მივიდეს სწორ ადგილას. მეორე დონის სამშობიარო სახლმა უნდა მოახდინოს ძალიან დიდი გართულებების მართვა მშობიარე და ორსულ ქალში, რომელსაც სჭირდება არა მხოლოდ სამეანო გინეკოლოგიური კვალიფიკაციის მაღალი დონე, არამედ მაღალი კვალიფიკაციის ნეონატოლოგები. მხოლოდ მესამე დონეზე მიდის ყველაზე გართულებული ქალი, რომელსაც სჭირდება სხვადასხვა სპეციალობის ადამიანების ჩარევა. მესამე დონის სამშობიარო სახლები განთავსებულია მულტიპროფილურ საავადმყოფოებში – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. დაგეგმარება არის მოწყობილი ისე, რომ ცენტრალიზაცია ხდება და თუ ონში, სოფელ ღებში ან სხვაგან, არის ქალი, რომელსაც სჭირდება მესამე დონის სპეციალიზებული დახმარება, ის ამ დახმარებას არათუ ონში ან ტყიბულში ვერ მიიღებს, აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს მესამე დონის სამშობიაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იმას, რომ ან დედა დაიღუპება ან ბავშვი. გასაგებია, რომ ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჯანმრთელობა გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს.

ამბროლაურში შესაძლებელია ფიზიოლოგიური მშობიარობის მიღება, დროული, ერთნაყოფიანი, გაურთულებელი სახით. თუ პაციენტს გადაუდებლად დასჭირდა საკეისრო კვეთა, ამისგან არავინაა დაზღვეული, სავალდებულოა, რომ იქ იყოს კადრი, რომელიც გააკეთებს ოპერაციულ ჩარევას. ეს სერვისი შენარჩუნებულია ამბროლაურსა და ცაგერში. ცაგერშიც ძალიან დაბალია დატვირთვა. გასულ წელს 18-მდე მშობიარობა იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ლენტეხი მიბმულია ცაგერზე.

სახელმწიფო ვერ აიღებს პასუხისმგებლობას და ვერ შესთავაზებს ადამიანს ისეთ ადგილს სამშობიაროდ, სადაც შეიძლება, დედა ან ბავშვი ცოცხალი ვერ გადარჩეს.

დედათა სიკვდილიანობა საქართველოში საკმაოდ მაღალია. 2015 წელს გვქონდა 35 შემთხვევა, რაც არის ძალიან მაღალი. მას შემდეგ, რაც პერინატალური რეგიონალიზაცია დაიწყო, მკვეთრად შემცირდა. პირველივე წელს 23-ზე ჩამოვიდა და 2017 წელს უკვე 13.1 იყო. 2018 წელს ოდნავ აიწია, მაგრამ 2-3 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, დიდი პროგრესი გვაქვს. არ შეიძლება ორსული ქალის მართვა იმ სამშობიაროში, რომელსაც ამის კომპეტენცია და საშუალება არ გააჩნია.

რაც შეეხება ონს, ლენტეხსა და სხვა რეგიონებს, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ სამედიცინო დაწესებულებებს გადაუდებელი მართვის, ემერჯენსი განყოფილებები აქვთ და აქ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სპეციალისტმა, თავისი კომპეტენციის მიხედვით, შესაძლებელია მართოს ნებისმიერი პაციენტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პაციენტიდან დაწყებული, მშობიარეთი დამთავრებული, გაუწიოს პირველადი დახმარება თუ საჭირო გახდება და სტაბილიზაციის შემდეგ გადაამისამართოს დანიშნულებისამებრ.

***– ონის საავადმყოფოში ექოსკოპისტიც რომ არ ჰყავთ, როგორ უნდა გაუწიონ თუნდაც პირველადი დახმარება?***

– ულტრაბგერის სპეციალისტი აუცილებლად უნდა ჰყავდეთ.

***– კვირაში ერთხელ ადის ამბროლაურიდან. ღამით თუ დასჭირდათ, პაციენტის ახლობლებმა უნდა მიაკითხონ.***

– ექოსკოპისტის ყოლა აუცილებელი პირობაა სტაციონარული დაწესებულების არსებობისთვის. ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სიმწვავე არის, არ არის ასე ადვილი რეკრუტირება, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მაღალ ხელფასებს სთავაზობენ.

***– 250 ან 400-500 ლარი გადასახადების ჩათვლით, ექიმისთვის მაღალი ანაზღაურებაა?***

– ვერ გეტყვით, შესრულება როგორია, ესეც გასათვალისწინებელია.

***– მაღალმთიან რეგიონებში ძალიან ცოტა ხალხია დარჩენილი და შესრულებაც, შესაბამისად, დაბალია.***

– მესმის, ჩვენ სპეციალურ დაფინანსებაზე გვყავს მაღალმთიანი რეგიონების დაწესებულებები და მათ სპეციალურად ვუხდით თანხას შესანარჩუნებლად. ყველა რაიონს აქვს საკუთარი ბიუჯეტი დამატებით, გარდა იმისა, რასაც ისინი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან იღებენ.

სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ ადამიანებმა გადაწყვიტონ და სამუშაოდ წავიდნენ მაღალმთიან რეგიონებში. 2014 წელს სპეციალურად გავაკეთეთ სარეზიდენტო პროგრამა, რომ მაღალმთიანი რეგიონებისთვის სპეციალისტები გამოგვეზარდა, დაგვეფინანსებინა და შემდეგ, მინიმუმ 3 წელი გაგვეგზავნა. შედეგად მივიღეთ ის, რომ გარკვეულ სპეციალობებში, რეზიდენტებმა, რომლებიც სახელმწიფოს დახმარებით ჩაირიცხნენ და ისე ძალიან რთული იქნებოდა მათი მოხვედრა პროგრამაში, ისწავლეს, დაასრულეს, მიიღეს სერტიფიკატები და შემდეგ უარი თქვეს მითითებულ რაიონებში წასვლაზე და ლამის მზად იყვნენ, რომ სამმაგი ჯარიმა გადაეხადათ. ყველა ცდილობს, რომ როგორლაც ვალდებულებისგან თავი დაიხსნას, დარჩეს და ქალაქში იმუშაოს. აქ ბევრად უფრო მიმზიდველია მათთვის რამდენიმე სამსახურში მუშაობა".

„მთის ამბებმა" ონის საავადმყოფოს მეან-გინეკოლოგ ნანა ლობჟანიძესთან დააზუსტა, ბოლო წლებში იყო თუ არა ონის სამშობიაროში დედის ან ახალშობილის გარდაცვალების შემთხვევა. ნანა ლობჟანიძე ონში მეან-გინეკოლოგად 2004 წლიდან მუშაობს და ვერც ერთი ასეთი ფაქტი ვერ გაიხსენა.

**მთის ამბები**

# ილია II: „პრემიერს ვთხოვე, სკოლის პროგრამებში შევიდეს გალობა და ხალხური სიმღერა. მითხრა, რომ ასე იქნება"



– მახსენდება ჩვენი შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან. მე მას ვთხოვე, რომ საშუალო სკოლის პროგრამებში შევიდეს გალობა და ხალხური სიმღერა. პრემიერ-მინისტრი შემპირდა, რომ ეს იქნებოდა.

ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოში ქართული გალობის ანთოლოგიის პრეზენტაციაზე განაცხადა.

ღონისძიების მონაწილეებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიმართა და გამოცემის ორგანიზატორებს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა.

– მე მახსენდება ჩვენი შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან. მე მას ვთხოვე, რომ საშუალო სკოლის პროგრამებში შევიდეს გალობა და ხალხური სიმღერა. პრემიერ-მინისტრი შემპირდა, რომ ეს იქნებოდა. ყველას გილოცავთ ამ დღეს. ქართული სიმღერა და გალობა ეს არის დიდი ნაწილი ქართული კულტურისა. ღმერთმა დაგლოცოთ და მე მჯერა, რომ ეს ნაბიჯი არ იქნება ერთი ნაბიჯი და მას მომავალი ნაბიჯები მიჰყვება ამას, – ბრძანა ილია II-ემ.



თავის მხრივ, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, „ქართული გალობა და ზოგადად, პოლიფონია ეს არის ჩვენი უნიკალური შენატანი ქრისტიანულ ცივილიზაციაში და ზოგადად, მსოფლიო ცივილიზაციაში."

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ფოლკლორის ცენტრი საქართველოს მასშტაბით 21 სკოლაში დაახლოებით 800-მდე ბავშვს აძლევს საშუალებას, რომ შეისწავლოს უნიკალური ქართული გალობა. წელს კი ამ რიცხვს შვიდი ახალი სკოლა დაემატება.

– კიდევ ერთხელ მსურს, მადლობა გადავუხადო ჯგუფის ყველა წევრს, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მუშაობდნენ ამ უნიკალური წიგნების გამოსაცემად, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზა არის გასავლელი, რომ სრულად დავფაროთ ის უნიკალური გალობა, რომელიც დაგვიტოვეს დიდმა წინაპრებმა, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ქართული გალობის ანთოლოგია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის აღსაყდრების 40 წლისთავს ეძღვნება. ანთოლოგიაში მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე გამოცემული და ხელნაწერ კრებულებში დაფიქსირებული საგალობლებია შესული.

**მედიანიუსი**

# ანა ბაგრატიონი გამოკითხვაზე დაიბარეს



ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი სამართალდამცავებმა გამოკითხვაზე დაიბარეს. საქმე ეხება მისი ყოფილი მეუღლის – დავით ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ მასზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტს.

ანა ბაგრატიონი საგამოძიებო უწყებაში 2 აპრილს, დღის პირველ ნახევარში უნდა გამოცხადდეს.

თუ ანა ბაგრატიონი მასზე ძალადობის ფაქტს დაადასტურებს, არ არის გამორიცხული, რომ დავით ბაგრატიონს სამართალდამცავებმა ბრალი ძალადობის მუხლით წარუდგინონ.

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ყოფილ ქმარს, დავით ბაგრატიონ-მუხრანელს, ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს.

მისი მტკიცებით, ყოფილი მეუღლე ფიზიკურად 2014 წლის 9 მაისს გაუსწორდა.

სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც კურიერმა მოიპოვა, 2014 წლის 20 მაისსაა გაცემული, ანას ცემიდან მე-11 დღეს და ექსპერტი ადასტურებს, რომ დაზიანებები ემთხვევა შესამოწმებლის მიერ მითითებულ ტრავმის მიღების თარიღს.

ექსპერტიზის დასკვნას ახლავს ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მიერ ექიმისთვის მონათხრობი. დოკუმენტში წერია, რომ 2014 წლის 9 მაისს, დაახლოებით 22:00 საათზე, მეუღლემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ურტყამდა მუშტებს, გაშლილ ხელს, ფეხებს თავში და სხეულზე.

ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მონათხრობის მიხედვით, მას ქმარმა არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით სცემა.

ქალს სახეზე და სხეულზე დაზიანებები ეტყობოდა, რის გამოც მეუღლემ ორი დღის განმავლობაში საგურამოდან თბილისში არ გაუშვა.

დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ადვოკატმა კი ანა ბაგრატიონის ბრალდებები უარყო.

ლევან ჩხეიძემ განაცხადა, რომ დაპირისპირებული მხარისგან ეს მორიგი შავი პიარკამპანიის ნაწილია და ამ საქმეს თეორიული შანსიც არ აქვს, რომ ძალოვან უწყებებში გადაინაცვლოს.

# „ცოლი ცემით მემუქრებოდა, ერთხელ კედელიც კი გამოანგრია“

## რაზმიკ თამასიანი მეუღლეს უჩივის



ცოლთან 30-წლიანი ცხოვრების შემდეგ რაზმიკ თამასიანი მეუღლის მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე საუბრობს. დაზარალებულმა ცოტა ხნის წინ გაბედა ეღიარებინა, რომ მეუღლე ცემით ხშირად ემუქრებოდა. მას ახლა ძალადობის მსხვერპლის სტატუსი აქვს.

თამასიანი ამბობს, რომ ძალადობის ფორმები საკმაოდ მძიმე იყო. ქმარი ყვება, რომ მეუღლე ჩხუბის დროს ყველაფერს ამტვრევდა. მისივე თქმით, ერთ-ერთი ჩხუბის დროს ქალმა კედელი გამოანგრია.

ხმაურზე მეზობლებს პოლიციაც არაერთხელ გამოუძახებიათ. სამართალდამცველებმა კი მოძალადე ცოლს შემაკავებელი ორდერი ორჯერ გამოუწერეს და ქმართან მიახლოება აუკრძალეს.

ამბავი, რომელსაც ქმარი ვერსად ყვებოდა, 10 წლის წინ დაიწყო. საქმე სასამართლომდე კი რამდენიმე თვის წინ მივიდა.

ერთ-ერთი კონფლიქტის დროს ცოლმა პოლიციაში დარეკა და თქვა, რომ ქმარი ძალადობდა, დაიწყო გამოძიება. გამოძიებამ კი სულ სხვა გარემოებაა დაადგინა.

ქმარზე მოძალადე ცოლს ახლა ბრალდებულის სტატუსი აქვს. მან ჩვენება მოსამართლეს უკვე მისცა და ყოფილი მეუღლე პროვოკაციაში დაადანაშაულა. სოფია თამასიანი საპირისპიროს ამტკიცებს, ამბობს, რომ ქმარი ხშირად სცემდა, დანითა და იარაღითაც კი ემუქრებოდა.

სოფია თამასიანი ახლა ნანობს, რომ ქმარს ძალადობისთვის პოლიციაში უჩივლა, ამბობს, რომ მაშინ ვერც წარმოიდგენდა, საქმე მისივე წინააღმდეგ თუ შემოტრიალდებოდა.

ოჯახური ძალადობის საქმეს, რომლის მსხვერპლიც ამჯერად კაცია, უკვე სასამართლო განიხილავს. მან უნდა განსაზღვროს, სასჯელის რა ზომას გამოიყენებს სოფია თამასიანზე, რომლის გამოც მამაკაცი დიდ ტანჯვას განიცდიდა.

**რუსთავი 2**

# ხონის ფსიქიატრიულის გარდაცვლილი პაციენტის ოჯახი ექიმების დასჯას ითხოვს



ხონის ფსიქიატრული საავადმყოფოს პაციენტის გარდაცვალების შემდეგ ქეთევან ბიგვავას ოჯახის წევრები ფსიქიატრული კლინიკის ექიმების დასჯას ითხოვენ.

გარდაცვლილის და ამბობს, რომ ტრავმები, რომლებიც პაციენტს აღენიშნებოდა, დაცემის დროს მიღებული ვერ იქნება.

გადაჩეხილი ფეხი, მოტეხილი მკლავი, დაზიანებული თვალი, მრავლობითი ჰემატომა და სხვა დაზიანებები მასზე ფიზიკური ძალადობის კვალზე მიუთითებს.

60 წლის ქალი ხონის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან ქუთაისის კლინიკაში 17 მარტს გადაიყვანეს, თუმცა, ოჯახმა ამის შესახებ მხოლოდ 2 დღის შემდეგ გაიგო.

ქუთაისის კლინიკაში პაციენტი 29 მარტს გარდაიცვალა.

# ნარკოტიკების შემოტანისთვის თბილისის აეროპორტში რ.გ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1968 წელს დაბადებული რ.გ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, კუსტარულად დამზადებული, „მეტადონის“ შემცველი 40 გრამი ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ზუგდიდში მამაკაცი იმიტომ დაჭრეს, რომ ბრალდებულის ქალიშვილთან ხელი ჩუმად მოაწერა



ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. ეს, სავარაუდოდ, სიმამრმა გააკეთა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყარომ განუცხადა, ახალგაზრდა მამაკაცმა და ბრალდებულის ქალიშვილმა ხელი ჩუმად მოაწერეს, რაც კონფლიქტის მიზეზი გახდა.

– გოგო პირველ კურსზეა, ერთმანეთს ხვდებოდნენ. როგორც მე ვიცი, რისი წინააღმდეგიც იყო გოგოს მამა. უთქვამს, სწავლას მორჩება და მერე ვნახოთ დაქორწინების ამბავიო. თუმცა ახალგაზრდებს ჩუმად მოუწერიათ ხელი. ბიჭი საზღვარგარეთიდან არის დეპორტით ჩამოყვანილი და ცოლის გვარზეა გადასული. ეს ყველაფერი გაიგო მამამ და, სავარაუდოდ, ეს გახდა დაჭრის მიზეზი, – ამბობს წყარო.

ადგილობრივების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცს ქუჩაში სამჯერ ესროლეს.

შემთხვევა მეორე სკოლასთან მოხდა.

# ბათუმში 26 წლის მეზღვაური დაჭრეს

## მისი მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა

ბათუმში ახალგაზრდა, სავარაუდოდ, სანადირო თოფით დაჭრეს. 26 წლის კაცი წერტილოვანი მრავლობითი ჭრილობებით ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მედიკოსების ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა.

შემთხვევის მიზეზებზე ახლობლები არ საუბრობენ. ამბობენ, რომ შელაპარაკება ორ პირს შორის მოხდა.

მათივე თქმით, დაჭრილი მეზღვაურია და მას კონფლიქტი არავისთან არ ჰქონდა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს და 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# რუსთავში ახალ ხიდზე ლექსუსი ტოიოტას დაეჯახა

## 1 მამაკაცი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში ე.წ. ახალ ხიდზე. ერთმანეთს „ლექსუსისა“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

შედეგად 1 მამაკაცი დაშავდა, რომელიც სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

მამაკაცის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

# გორთან ავარიაში მამა და 2 შვილი დაშავდნენ

გორთან მომხდარი ავარიის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. დაშავებულთა შორის ორი მცირეწლოვანი ბავშვია.

მამა და 4 და 5 წლის და-ძმა სასწრაფო დახმარების ჯგუფმა გორმედის ცენტრალურ კლინიკაში გადაიყვანა. ორივე ბავშვს თავის ტრავმა აღენიშნება.

მომხდარზე გამოძიებას საპატრულო პოლიცია აწარმოებს.

# ბაკურიანში სასტუმრო „რეზიდენსს“ ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 31 მარტს, ბაკურიანში სასტუმრო „ბაკურიანი რეზიდენსს“ ცეცხლი გაუჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მომხდარის შესახებ ასეთ ინფორმაციას ავრცელებს:

„ცეცხლი შენობის სასხვენო გადახურვას გაუჩნდა.

დამწვარია 150 მ² ფართობი.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე მუშაობს 8 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი.

შეტყობინება ხანძრის შესახებ 11:40 საათზე შემოვიდა. პირველი სახანძრო-სამაშველო ჯგუფი ადგილზე 11:45 საათზე გამოცხადდა. მეხანძრე-მაშველების მიერ ხანძრის ლოკალიზება მოხდა 15:14 საათზე.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო“.

# ჭიათურაში მუშა ირაკლი შამათავა დაიღუპა

ჭიათურაში საბაგირო გზის ობიექტზე 27 წლის ირაკლი შამათავა დაიღუპა.

როგორც მერის მოვალეობის შემსრულებელი გივი მოდებაძე აცხადებს, შამათავა დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა.

– ჭიათურაში, თხელიძის ქუჩაზე მშენებარე საბაგირო გზის ობიექტზე 27 წლის ირაკლი შამათავა გარდაიცვალა, მან სამუშაოს შესრულებისას მიიღო ელექტროტრავმა და უგონო მდგომარეობაში მყოფი გადაყვანილ იქნა ჭიათურის „ჯეო ჰოსპიტალში“, სადაც იგი გარდაიცვალა, – განაცხადა გივი მოდებაძემ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების დროს უსაფრთხოების ნორმების დარღვევას გულისხმობს.

ჭიათურაში არსებული სამგზავრო საბაგირო გზების სისტემებისა და სადგურების სრული რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები 2016 წელს დაიწყო. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ამხანაგობა „დაგი სოლუშენი“ ახორციელებს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2019, 1 აპრილი, №76

## აშშ-მ ფხენიანისგან მთელი ბირთვული არსენალის გადაცემა მოითხოვა



რეიტერის სააგენტომ ტრამპისა და კიმ ჩენ ინის მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზი დაასახელა. ტრამპმა ჩრდილოეთ კორეისგან მთელი ბირთვული არსენალის გადაცემა მოითხოვა. კიმ ჩენ ინმა ეს პირად შეურაცხყოფად აღიქვა. მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ ტრამპმა კიმ ჩენ ინთან მოლაპარაკებებზე ერთადერთი სწორი პოზიცია დაიკავა. ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ის ტრამპის პირობებს დათანხმდება. ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, თუმცა ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ადრე თუ გვიან ჩრდილოეთ კორეა იძულებული გახდება, ამერიკელების ყველა პირობას დათანხმდეს.

## ტრამპი სალვადორს, გვატემალასა და ჰონდურასს დახმარებას უწყვეტს



აშშ გვატემალას, სალვადორსა და ჰონდურასს დახმარებას უწყვეტს.

ამის თაობაზე პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა.

– ამ ქვეყნების ხელისუფალნი საკუთარ მოსახლეობაზე არ ზრუნავენ! ფული, რომელსაც ვუხდით, ვიღაცების ჯიბეებში მიდის, გაღატაკებული მოსახლეობა კი ამერიკისაკენ მოეშურება! – თქვა ტრამპმა.

სენატორმა დემოკრატმა მენენდესმა ტრამპის გადაწყვეტილება გააკრიტიკა. მან თქვა, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებისთვის დახმარების შეწყვეტით წარმოიქმნება ვაკუუმი, რითაც რუსეთი ან ჩინეთი ისარგებლებენ.

– რუსეთზე ბევრად საშიშია ჩინეთი! ის ლათინურ ამერიკაში მოქმედებას ააქტიურებს! – თქვა მენენდესმა.

## ევროკავშირი ყირიმელი თათრების გათავისუფლებას მოითხოვს



ანექსირებულ ყირიმში მიმდინარეობს ძირძველი მოსახლეობის, თათრების, დევნა. ცოტა ხნის წინ რუსულმა ფსბ-მ 23 ყირიმელი თათარი დააპატიმრა. ევროკავშირმა ამის გამო ოფიციალური პროტესტი გამოთქვა.

– მოვითხოვთ ყველა დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, – იტყობინება ევროკავშირის საგარეო საქმეთა პრესსამსახური.

## საფრანგეთში ყვითელი ჟილეტების საპროტესტო აქციები გრძელდება

საფრანგეთში ყვითელი ჟილეტების აქციები არ წყდება. ყველაზე მასობრივი გამოსვლები იყო პარიზში, ლიონსა და ბორდოში.



აქციებში მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ისინი კი, ვინც გამოსვლებში მონაწილეობენ, სულ უფრო აგრესიულად იქცევიან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## სამეფო კობრამ ვარანი ამოანთხია



ინდოეთის ორისას შტატის პატარა ქალაქ ბუგუდაში თვითმხილველებმა მოახერხეს, ვიდეოზე გადაეღოთ სამეფო კობრა, რომელმაც გადაყლაპული ვარანი ამოანთხია.

ოთხი მეტრი სიგრძის გველი საკუთარ სახლში პრაფულა საჰუმ აღმოაჩინა. მან არ იცოდა, რომელი სახის ქვეწარმავალი იყო და გველებზე მონადირე ჰარიშ პადი გამოიძახა.

ადგილზე მისულმა პადიმ შეშინებულ საჰის აუხსნა, რომ მის სახლში სამეფო კობრა იყო შემძვრალი, რომლის კბენის შედეგად ადამიანი 15 წუთში იღუპება. მონადირემ გველი დაიჭირა, უახლოეს ტყეში წაიყვანა და გაუშვა.

როგორც კი გველი თავისუფლებაზე აღმოჩნდა, პირღებინება დაეწყო და მისი პირიდან ჯერ კუდი გამოჩნდა, შემდეგ კი – მთლიანად ვარანი, რომელიც მას ჰყავდა გადაყლაპული. როგორც კი სამეფო კობრა ნადავლისგან გათავისუფლდა, გასრიალდა და იქვე ახლოს მდებარე გუბურა გადაცურა.

პადის თქმით, გველს ასეთი რამ მაშინ ემართება, როდესაც სტრესულ მდგომარეობაშია.

## ბავშვზე მეოცნებე ბრიტანელს თავი ფეხმძიმე ეგონა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრ ქალბატონს, რომელსაც კიბო აღმოაჩნდა, თავი ფეხმძიმე ეგონა.

სტაფორდშირის საგრაფოს ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტის მცხოვრები ჯოზეფინ კლინტონი წლების განმავლობაში წარუმატებლად ცდილობდა დაფეხმძიმებას. ქალმა ხელოვნური განაყოფიერებაც ცადა, თუმცა ვერ ამან გამოიღო მისთვის სასურველი შედეგი. ექიმებმა მას უნაყოფობა დაუდგინეს.

2017 წლის აგვისტოში კლინტონი მეგობრებს კაფეში შეხვდა, რომლებმაც მის გამობერილ მუცელს მიაქციეს ყურადღება და ურჩიეს, ფეხმძიმობის ტესტი ჩაეტარებინა.

– მუცელი რამდენიმე კვირაში გამეზარდა. ამასთან ძალიან გავხდი, ფეხები ასანთის ღერებივით გამიხდა, – იხსენებს ბრიტანელი, – ასევე დამიპატარავდა ხელები, სახე და დუნდულები.

ქალს იმედი მიეცა და ჩათვალა, რომ ექიმების დიაგნოზის მიუხედავად, ფეხმძიმედ იყო. ფეხმძიმობის ტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა და მაშინ თავის მკურნალ ექიმს მიმართა, მან კი დიაგნოსის დასმა ვერ შეძლო. რამდენიმე დღის შემდეგ კლინტონმა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებას მიმართა. რენტგენზე გაშუქების შემდეგ ექიმებმა ქალს საკვერცხეების მოსაზღვრე სიმსივნე დაუდგინეს.

– ერთი – ვაშლის, მეორე კი გრეიპფრუტის ზომის იყო, – ამბობს კლინტონი, – ექიმის თქმით, კიდევ რომ დამეგვიანებინა, ჩემი გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა.

კლინტონს პირველი ოპერაციის შემდეგ მუცლიდან შვიდი ლიტრი სითხე ამოუღეს, კიდევ შვიდი ლიტრი – მეორე ოპერაციის შემდეგ. ამის შემდეგ კი ქალს საშვილოსნო ამოჰკვეთეს. ამჟამად მისი მდგომარეობა ნორმალურია.

## ენერგეტიკული სასმელებით გატაცებულ მამაკაცს ენა დაეწვა

ავსტრალიელმა მასწავლებელმა, რომელიც ენერგეტიკულ სასმელებზეა შეყვარებული, თავისი დამწვარი ენის ფოტოსურათი გამოაქვეყნა და საზოგადოებას მოუწოდა, მისი ბედი არ გაიზიარონ.



დენ როიალსმა თავისი წყლულებით დაფარული ენის ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ყოველდღე ხუთ-ექვს ქილა ენერგეტიკულ სასმელს მოიხმარდა, სანამ მას ექიმმა არ უთხრა, რომ სასმელი მის ენას ჭამდა.

დენმა აღიარა, რომ სიგარეტსაც ეწევა, თუმცა არ თვლის, რომ ამან რამენაირად გავლენა მოახდინა მისი ენის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანაზე.

– უბრალოდ, ყველასთვის გასაგები რომ იყოს, მე ყოველთვის ვზრუნავდი საკუთარი პირის ღრუს ჯანმრთელობაზე, მაგრამ ეს ყოველივე ენერგეტიკის დამსახურებაა. შეხედეთ ჩემს ენას და წარმოიდგინეთ, რას უშვრება ის შინაგან ორგანოებს, – განაცხადა როიალსმა.

## გულუხვმა ქალმა მეზობელს ხორცის კერძი შესთავაზა და სიკვდილს გადაარჩინა



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბრიკის მკვიდრმა ქალბატონმა გადაწყვიტა, მეზობლისთვის კერძი შეეთავაზებინა და დაურეკა, რითიც ის სიკვდილისგან იხსნა.

რობერტა კარტრაიტმა ჩაშუშული ღორის ხორცი მოამზადა და იმავე ქუჩაზე მცხოვრებ კარლ და სიუზან შვაბებს დაურეკა, რათა მათთვის თავისი კერძი შეეთავაზებინა. 82 წლის მეზობელთან საუბრის დროს მან ჯერ ყურმილის დაცემის, შემდეგ კი მისი მეუღლის შეკივლების ხმა გაიგონა.

კარტრაიტმა მაშინვე მეუღლეს, პიტერს დაურეკა და სთხოვა, პენსიონერ მეზობლებთან მისულიყო, ამის შემდეგ კი სამაშველო სამსახურში დარეკა. მეზობლებთან მისულმა პიტერმა ნახა, რომ კარლი სკამზე უგონოდ იჯდა. მას არ ესინჯებოდა პულსი, არ სუნთქავდა. პიტერმა მამაკაცი იატაკზე დააწვინა და გულის მასაჟისა და ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას შეუდგა. მალე ადგილზე მაშველებიც მივიდნენ. 20 წუთის შემდეგ მათ კარლის მდგომარეობიდან გამოყვანა შეძლეს.

ამის შემდეგ მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას კარდიოსტიმულატორი ჩაუდგეს. კარლმა საავადმყოფოში ერთი თვე გატარა, შემდეგ კიდევ რამდენიმე კვირა სახლში აგრძელებდა მკურნალობას. ახლახან კი მისმა მეუღლე სუზანმა კარტრაიტების წყვილი და მაშველები მეუღლის გამოჯანმრთელების აღსანიშნავად თავისთან მიიწვია.

## მამაკაცი ქოლგით გაფრინდა



თურქეთის პროვინცია ოსმანიში ძლიერმა ქარმა ქუჩის დიდი ქოლგა გაიტაცა და თან მასზე ჩაჭიდებული მამაკაციც გაიყოლა.

სამი მამაკაცი ცდილობდა, დიდი მზისგან დამცავი ქოლგა დაემაგრებინათ, მაგრამ ქარი მეტისმეტად ძლიერი გამოდგა. როდესაც ქოლგამ აფრენა დაიწყო, ერთ-ერთმა მათგანმა მის სახელურს ხელი არ გაუშვა და შედეგად მასთან ერთად აფრინდა. მამაკაცის მტკიცებით, ის ქარმა ქოლგასთან ერთად მიწიდან სამი-ოთხი მეტრის სიმაღლეზე ააფრინა.

– ყველაფერი წესრიგშია, არაფერი მჭირს, – განაცხადა მამაკაცმა მიწაზე დაშვების შემდეგ, – როდესაც მივხვდი, რომ ქოლგა ასე ფრენას გააგრძელებდა, ხელი გავუშვი და ჩამოვხტი.

სამაგიეროდ, ქოლგა სხვა ადამიანს დაეცა, ფეხი მოსტეხა და ნეკნები ჩაუმტვრია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## განცხადებები

### სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჩიხურასა და დილას პირველი გამარჯვებები

**ჩიხურა-სიონი 5:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 მახარობლიძე (7), 2:0 ლექვთაძე (31), 3:0 ისიანი (34სკ), 4:0, 5:0 სარდალიშვილი (37პ, 71)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მაისაშვილი (ჩიტეიშვილი 72), კორიფაძე, ჩიკვაიძე (მეგრელიშვილი 77), კაშია, მამასახლისი, მახარობლიძე, ლექვთაძე (კამლაძე 77), სარდალიშვილი, ჩიხლაძე, დეკანოიძე

**სიონი:** ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი, აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, ხმალაძე, დ.კირკიტაძე (თარგამაძე 65), სიხარულია (რაჟამაშვილი 63), მაქაცარია (უგულავა 69), ისიანი

მატჩი ნომინალურმა მასპინძლებმა დიდი უპირატესობით დაიწყეს და მალევე ასახეს პირველ გატანილ გოლში. ბოლნისელთა კარი მე-7 წუთზე ბიძინა მახარობლიძემ აიღო, 31-ე წუთზე ორამდე უპირატესობა ირაკლი ლექვთაძემ გაზარდა, რამდენიმე წუთში ვილი ისიანმა ავტოგოლი მიითვალა, ხოლო მეოთხე ბურთი სტუმართა კარში მიშიკო სარდალიშვილმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან შეაგდო და შესვენებაზე სოსო ფრუიძის შეგირდები ოთხბურთიანი უპირატესობით გავიდნენ.

თამაშის სცენარი დიდად არც მეორე ნახევარში შეცვლილა, თუმცა საჩხერელები მხოლოდ ერთი გოლის გატანას დასჯერდნენ. ამჯერადაც თავი მიშიკო სარდალიშვილმა გამოიჩინა და დუბლი შეასრულა.

ამრიგად, საჩხერის ჩიხურამ მიმდინარე სეზონში 1 წაგებული და 3 ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

**დილა-ლოკომოტივი 3:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 სპანდერაშვილი (19), 2:0 გოშთელიანი (26), 2:1 სიხარულიძე (35), 3:1 ფორტესი (56)

**დილა:** გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, კერელეიშვილი, სანტოსი, ნონდი, რაზმაძე, ფორტესი (პაიმი 89), კუცია (ლემპტი 59), სპანდერაშვილი (ნჯოკუ 76), გოშთელიანი

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, ბუილიშვილი, უბილავა, შონია, თ.კირკიტაძე, დავითაშვილი (სამურკასოვი 70), არდაზიშვილი (კიკაბიძე 78), ჯიქია (კობახიძე 65), სიხარულიძე



**გაძევება:** კირკიტაძე (60), ნჯოკუ (80)

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა გორის დილამაც, რომელიც საკუთარ მოედანზე თბილისის ლოკომოტივს დაუპირისპირდა.

მასპინძლებმა ანგარიში ნუგზარ სპანდერაშვილის მიერ გატანილი გოლით მე-19 წუთზე გახსნეს. 26-ე წუთზე მეორე ბურთი გორელთა ახალწვეულმა გურამ გოშთელიანმა გაიტანა. შეხვედრის 35-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა ალვინ ფორტესმა საბოლოო შედეგი მეორე ტაიმში 56-ე წუთზე გატანილი გოლით დააფიქსირა.

**ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 რამოსი (72)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, კიკნაველიძე, საჯაია, მოსიაშვილი (კურდღელაშვილი 78), ვასაძე, მაისურაძე (ლაცაბიძე 81), კაკაშვილი, ღუდუშაური, მუჯირი (მუსელიანი 46)

**დინამო (ბთ):** ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ჩალაძე, მანჯგალაძე, ჯანელიძე, რამოსი (რ.ჭანტურია 86), მამუჩაშვილი, საბანაძე (გაფრინდაშვილი 71), ფლამარიონი (თევდორაძე 58)

**გაძევება:** მანჯგალაძე (90)

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ბათუმის დინამომ. ვიტ ჯორჯიასთან ჩატარებული მეხუთე ტურის მატჩი, წინა ორის მსგავსად, გია გეგუჩაძის გუნდმა ისევ მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგო.

შეხვედრაში ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი გაბრიელ რამოსმა გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 4 | 4 | 0 | 0 | 9-2 | 12 |
| 2.დინამო (ბთ) | 5 | 3 | 0 | 2 | 3-3 | 9 |
| 3.სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-9 | 7 |
| 4.დინამო (თბ) | 4 | 2 | 0 | 2 | 7-3 | 6 |
| 5.ლოკომოტივი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-11 | 6 |
| 6.ტორპედო | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 7.ჩიხურა | 5 | 1 | 3 | 1 | 8-5 | 6 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| 9.დილა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 10.რუსთავი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

# გოგა ბითაძე: „ბევრს ვმუშაობდი“

ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე ადრიატიკის ლიგის რეგულარული სეზონის მვპ რომ გახდა, ვწერდით. გარდა ამისა, ჩვენებური საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელადაც დაასახელეს და ლიგის სიმბოლური ხუთეულის წევრიც გახდა.

ბითაძესთან ინტერვიუ ადრიატიკის ლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გილოცავთ ყველა მოგებულ ჯილდოს. სეზონის დაწყებამდე ელოდით ამ ყველაფერს?***

– ზაფხულის განმავლობაში ბევრს ვმუშაობდი, თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ამ ჯილდოების მიღებას არ ველოდი. უბრალოდ, რაც ძალა და ღონე მქონდა ვცდილობდი, რომ თითოეულ მატჩში საუკეთესოდ მეთამაშა და ყოველ შევედრაში 100 პროცენტით დამეხარჯა ჩემი ძალები. გულწრფელად მიხარია, რომ ეს გარჯა დამიფასდა და ეს ჯილდოები მოვიგე.



***– ეს თქვენი მეორე სეზონია ადრიატიკის ლიგაში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი პოტენციალი გასულ სეზონში უკვე წარმოაჩინეთ, მაინც გააოცეთ ყველა თქვენი დომინაციით ლიგაში. რა არის თქვენი დაუჯერებელი პროგრესისა და კარგი თამაშების საიდუმლო მიმდინარე სეზონში?***

– ვფიქრობ, რომ დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. თამაშზე კონცენტრირებული უნდა იყო, კალათბურთზე იფიქრო ყოველდღე, პოზიტიური დარჩე და, როგორც უკვე ვთქვი, დაუღალავად იშრომო. თქვენი შესაძლებლობების 100 პროცენტი უნდა გამოავლინოთ თითოეულ მოცემულ პრაქტიკაში. რა თქმა უნდა, უნდა აღვნიშნო, რომ შესანიშნავ მწვრთნელებთან და კალათბურთელებთან მომიწია მუშაობა, რომლებიც ძალიან მეხმარებიან.

***– თქვენი ისტორია ადრიატიკის ლიგაში მეგა ბიმაქსიდან დაიწყო, რომელიც ცნობილია ახალგაზრდა კალათბურთელების განვითარებით და მიმდინარე სეზონში ბუდუჩნოსტში გადახვედით. ლიგის ჩემპიონებში, სადაც მხოლოდ ხარისხი და თითოეულ მატჩში წარმატებას ითხოვენ, როგორ დაგეხმარნენ ეს კლუბები განვითარებაში?***

– მეგა ბიმაქსი დამეხმარა გავზრდილიყავი, როგორც ადამიანი და როგორც კალათბურთელი. ისინი დამეხმარნენ, ჩემი დონე მეჩვენებინა. მწვრთნელები და თანაგუნდელებიც ყველაფერში მეხმარებოდნენ. ბუდუჩნოსტშიც ბევრს მეხმარებოდნენ და აქ დიდი გამოცდილება შევიძინე. გარდა ამისა, ევრლიგაში თამაშის გამოცდილება მივიღე. ამიტომ, შემიძლია ვთქვა, რომ ორივე კლუბი განვითარებაში ძალიან დამეხმარა.

***– როგორ მიგიღეს თანაგუნდელებმა ბუდუჩნოსტში, როგორია თქვენი თანამშრომლობა იასმინ რეპეშასთან და რამდენად განსხვავდება ის დეან მილოევიჩისგან?***

– თანაგუნდელებმა ძალიან კარგად მიმიღეს. ისინი ძალიან კარგი ბიჭები არიან და ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. დიდი ხნის თანამშრომლობა არ მაკავშირებს რეპეშასთან, მაგრამ დიდ პატივს ვცემ მას და იმას, რასაც აკეთებს. დეან მილოევიჩის ხელში გავიზარდე და სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როგორი მადლიერი ვარ მისი. ვფიქრობ, რომ თამაშის 90 პროცენტი მისგან ვისწავლე.

***– რას მოელით ბუდუჩნოსტთან ერთად სეზონის დარჩენილ ნაწილში?***

– ჩემი მოლოდინები დიდია. ბუდუჩნოსტში იმიტომ მოვედი, რომ ტიტული მოვიგო. ამას მუდმივად ვუმეორებ ჩემს თავს და ეს ჩემი მთავარი მიზანია. თითოეულ მატჩში ბოლომდე ვიხარჯები, რომ ამ მიზანს მივაღწიო.

# ბარსამ თვალი ალაბას დაადგა



ავსტრიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის უკანახაზელი დავიდ ალაბა საფეხბურთო კლუბ ბარსელონის ინტერესის სფეროში მოექცა. როგორც გამოცემა ფრანს ფუტბოლი წერს, კატალონიურ გრანდს ზემოხსენებული განაპირა მცველის შეძენა გუნდში კონკურენციის ასამაღლებლად სჭირდება.

დავიდ ალაბას მომავალი მიუნხენურ კლუბში ბურუსით მოცულია, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ბაიერნმა მადრიდის ატლეტიკოს მცველი ლუკას ერნანდესი დაიმატა.

26 წლის ფეხბურთელს ბაიერნთან კონტრაქტი 2021 წლამდე აკავშირებს. მისი დებიუტი ბავარიულ კლუბში 2009 წელს შედგა. ამ დროის განმავლობაში ალაბამ „რეკორდმაისტერის“ მაისური 335 ჯერ მოირგო და 28 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, ავსტრიელმა მცველმა ბუნდესლიგის 24 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მათგან 22-ში – ძირითად შემადგენლობაში.

# კოშტა გრანდების სიაშია



მანჩესტერ იუნაიტედის სატრანსფერო სიაში ტურინის იუვენტუსის ბრაზილიელი შემტევი დუგლას კოშტაც ფიგურირებს. „წითლებს“ ფეხბურთელის გადაბირება ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე სურთ.

გარდა ინგლისური გრანდისა, ფეხბურთელის მიმართ ინტერესს კიდევ რამდენიმე მსხვილკალიბრიანი კლუბიც გამოხატავს – ტომას ტუხელის პსჟ და პეპ გვარდიოლას მანჩესტერ სიტი. ეს იმ მწვრთნელებისა და კლუბების ჩამონათვალია, რომელთა ინტერესთა სფეროშიც კოშტას გვარი ფიგურირებს. რაც შეეხება სატრანსფერო ფასს, „ბებერ ქალბატონს“ 28 წლის ფეხბურთელში 60 მილიონი ევროს მიღება სურს. როგორც ჩანს, „წითელ ეშმაკებს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ ხელსაყრელი წინადადების შეთავაზება მოუწევთ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# შედეგები

## 30 მარტი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-სიტი ........ 0:2
ბარნლი-ვულვზი ........ 2:0
ბრაიტონი-საუთჰემპტონი ........ 0:1
კრ.პალასი-ჰადერსფილდი ........ 2:0
ლესტერი-ბორნმუთი ........ 2:0
მანჩესტერი-უოტფორდი ........ 2:1
ვესტ ჰემი-ევერტონი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 31 | 25 | 2 | 4 | 81-21 | 77 |
| 2.ლივერპული | 31 | 23 | 7 | 1 | 70-18 | 76 |
| 3.ტოტენჰემი | 30 | 20 | 1 | 9 | 57-32 | 61 |
| 4.მანჩესტერი | 31 | 18 | 7 | 6 | 60-41 | 61 |
| 5.არსენალი | 30 | 18 | 6 | 6 | 63-39 | 60 |
| 6.ჩელსი | 30 | 17 | 6 | 7 | 50-33 | 57 |
| 7.ვულვზი | 31 | 12 | 8 | 11 | 38-38 | 44 |
| 8.ლესტერი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-43 | 44 |
| 9.უოტფორდი | 31 | 12 | 7 | 12 | 43-46 | 43 |
| 10.ვესტ ჰემი | 32 | 12 | 6 | 14 | 41-48 | 42 |
| 11.ევერტონი | 32 | 12 | 7 | 13 | 45-42 | 43 |
| 12.ბორნმუთი | 32 | 11 | 5 | 16 | 43-58 | 38 |
| 13.კრ.პალასი | 31 | 10 | 6 | 15 | 38-41 | 36 |
| 14.ნიუკასლი | 31 | 9 | 8 | 14 | 31-40 | 35 |
| 15.ბრაიტონი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-43 | 33 |
| 16.საუთჰემპტონი | 31 | 8 | 9 | 14 | 35-50 | 33 |
| 17.ბარნლი | 32 | 9 | 6 | 17 | 37-59 | 33 |
| 18.კარდიფი | 30 | 8 | 4 | 18 | 27-57 | 28 |
| 19.ფულემი | 32 | 4 | 5 | 23 | 29-72 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 32 | 3 | 5 | 24 | 18-59 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ბლექბერნი ........ 2:1
დერბი-როტერჰემი ........ 6:1
იფსვიჩი-ჰალი ........ 0:2
ქპრ-ბოლტონი ........ 1:2
ლიდსი-მილუოლი ........ 3:2
ნოტინგემი-სუონსი ........ 2:1
რედინგი-პრესტონი ........ 2:1
სტოკი-უენსდი ........ 0:0
უიგანი-ბრენტფორდი ........ 0:0
შეფილდი-ბრისტოლი ........ 2:3
მიდლსბრო-ნორვიჩი ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ლეგანესი ........ 0:2
ბარსელონა-ესპანიოლი ........ 2:0
სელტა-ვილიარეალი ........ 3:2
ალავესი-ატლეტიკო ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 21 | 6 | 2 | 75-27 | 69 |
| 2.ატლეტიკო | 29 | 17 | 8 | 4 | 43-19 | 59 |
| 3.რეალი | 28 | 17 | 3 | 8 | 49-32 | 54 |
| 4.ხეტაფე | 29 | 12 | 10 | 7 | 36-26 | 46 |
| 5.ალავესი | 29 | 12 | 8 | 9 | 31-35 | 44 |
| 6.სევილია | 28 | 12 | 7 | 9 | 47-36 | 43 |
| 7.ვალენსია | 28 | 8 | 16 | 4 | 30-23 | 40 |
| 8.ბილბაო | 29 | 9 | 13 | 7 | 30-32 | 40 |
| 9.ბეტისი | 28 | 11 | 6 | 11 | 32-36 | 39 |
| 10.სოსიედადი | 28 | 9 | 9 | 10 | 33-33 | 36 |
| 14.ლეგანესი | 29 | 9 | 9 | 11 | 29-34 | 36 |
| 12.ეიბარი | 28 | 8 | 11 | 9 | 36-38 | 35 |
| 13.ხირონა | 29 | 8 | 10 | 11 | 32-39 | 34 |
| 14.ესპანიოლი | 29 | 9 | 7 | 13 | 32-43 | 34 |
| 15.ლევანტე | 28 | 8 | 7 | 13 | 38-49 | 31 |
| 16.ვალიადოლიდი | 28 | 7 | 8 | 13 | 23-39 | 29 |
| 17.ვილიარეალი | 29 | 6 | 11 | 12 | 34-39 | 29 |
| 18.სელტა | 29 | 7 | 7 | 15 | 39-49 | 28 |
| 19.რაიო | 28 | 6 | 5 | 17 | 30-51 | 23 |
| 20.უესკა | 28 | 5 | 7 | 16 | 28-47 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-მაჰადაონდა ........ 2:2
ნუმანსია-გრანადა ........ 2:1
ალბასეტე-ტენერიფე ........ 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ვოლფსბურგი ........ 2:0
ვერდერი-მაინცი ........ 3:1
ნიურნბერგი-აუგსბურგი ........ 3:0
ფორტუნა-გლადბახი ........ 3:1
ფრაიბურგი-ბაიერნი ........ 1:1
ლაიფციგი-ჰერტა ........ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 27 | 19 | 6 | 2 | 66-30 | 63 |
| 2.ბაიერნი | 27 | 19 | 4 | 4 | 69-28 | 61 |
| 3.ლაიფციგი | 27 | 15 | 7 | 5 | 49-20 | 52 |
| 4.გლადბახი | 27 | 14 | 5 | 8 | 46-34 | 47 |
| 5.აინტრახტი | 26 | 13 | 7 | 6 | 51-30 | 46 |
| 6.ლევერკუზენი | 27 | 13 | 3 | 11 | 48-44 | 42 |
| 7.ვოლფსბურგი | 27 | 12 | 6 | 9 | 44-41 | 42 |
| 8.ვერდერი | 27 | 11 | 9 | 7 | 49-39 | 42 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 27 | 10 | 11 | 6 | 54-39 | 41 |
| 10.ჰერტა | 27 | 9 | 8 | 10 | 40-44 | 35 |
| 11.ფორტუნა | 27 | 10 | 4 | 13 | 36-51 | 34 |
| 12.ფრაიბურგი | 27 | 7 | 11 | 9 | 38-43 | 32 |
| 13.მაინცი | 27 | 8 | 6 | 13 | 28-48 | 30 |
| 14.აუგსბურგი | 27 | 6 | 7 | 14 | 37-50 | 25 |
| 15.შალკე | 26 | 6 | 5 | 15 | 27-44 | 23 |
| 16.შტუტგარტი | 26 | 5 | 5 | 16 | 26-56 | 20 |
| 17.ჰანოვერი | 26 | 3 | 5 | 18 | 24-61 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 27 | 3 | 7 | 17 | 22-52 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ჰამბურგი ........ 0:0
დარმშტადი-რეგენსბურგი ........ 1:1
უნიონი-პადერბორნი ........ 1:3

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-ჯენოა ........ 2:0
იუვენტუსი-ემპოლი ........ 1:0
სამპდორია-მილანი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 29 | 25 | 3 | 1 | 60-19 | 78 |
| 2.ნაპოლი | 28 | 18 | 6 | 4 | 52-23 | 60 |
| 3.ინტერი | 28 | 16 | 5 | 7 | 43-24 | 53 |
| 4.მილანი | 29 | 14 | 9 | 6 | 43-27 | 51 |
| 5.რომა | 28 | 13 | 8 | 7 | 52-39 | 47 |
| 6.ატალანტა | 28 | 13 | 6 | 9 | 57-39 | 45 |
| 7.ლაციო | 27 | 13 | 6 | 8 | 41-29 | 45 |
| 8.სამპდორია | 29 | 13 | 6 | 10 | 50-38 | 45 |
| 9.ტორინო | 28 | 11 | 11 | 6 | 37-26 | 44 |
| 10.ფიორენტინა | 28 | 8 | 13 | 7 | 43-35 | 37 |
| 11.ჯენოა | 29 | 8 | 9 | 12 | 34-44 | 33 |
| 12.კალიარი | 29 | 8 | 9 | 12 | 28-40 | 33 |
| 13.პარმა | 28 | 9 | 6 | 13 | 30-44 | 33 |
| 14.სასუოლო | 28 | 7 | 11 | 10 | 39-47 | 32 |
| 15.უდინეზე | 28 | 7 | 7 | 14 | 26-40 | 28 |
| 16.სპალი | 28 | 6 | 8 | 14 | 25-42 | 26 |
| 17.ემპოლი | 29 | 6 | 7 | 16 | 36-55 | 25 |
| 18.ბოლონია | 28 | 5 | 9 | 14 | 25-42 | 24 |
| 19.ფროზინონე | 28 | 3 | 8 | 17 | 21-53 | 17 |
| 20.კიევო | 29 | 1 | 11 | 17 | 21-57 | 11 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ბენევენტო ........ 2:2
კარპი-კროტონე ........ 1:2
კოზენცა-პალერმო ........ 1:1
პერუჯა-ლივორნო ........ 3:1
სალერნიტანა-ვენეცია ........ 1:1
ჩიტადელა-პადოვა ........ 1:1
ბრეშა-ფოჯა ........ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ანჟე ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 25 | 2 | 1 | 86-16 | 77 |
| 2.ლილი | 29 | 17 | 6 | 6 | 45-24 | 57 |
| 3.ლიონი | 30 | 16 | 8 | 6 | 51-35 | 56 |
| 4.მარსელი | 30 | 14 | 6 | 10 | 47-40 | 48 |
| 5.სტ.ეტიენი | 29 | 13 | 7 | 9 | 41-34 | 46 |
| 6.რეიმსი | 29 | 11 | 13 | 5 | 31-27 | 46 |
| 7.მონპელიე | 29 | 10 | 12 | 7 | 40-34 | 42 |
| 8.რენი | 29 | 11 | 8 | 10 | 39-37 | 41 |
| 9.ნიცა | 29 | 11 | 8 | 10 | 21-29 | 41 |
| 10.სტრასბური | 29 | 9 | 12 | 8 | 45-35 | 39 |
| 11.ნიმი | 28 | 10 | 7 | 11 | 40-42 | 37 |
| 12.ანჟე | 30 | 8 | 13 | 9 | 35-35 | 37 |
| 13.ბორდო | 29 | 8 | 10 | 11 | 28-31 | 34 |
| 14.ტულუზა | 29 | 7 | 11 | 11 | 28-43 | 32 |
| 15.ნანტი | 28 | 8 | 7 | 13 | 31-35 | 31 |
| 16.მონაკო | 29 | 7 | 9 | 13 | 30-44 | 30 |
| 17.ამიენი | 29 | 8 | 5 | 16 | 24-43 | 29 |
| 18.გენგამი | 29 | 5 | 7 | 17 | 19-51 | 22 |
| 19.დიჟონი | 29 | 5 | 6 | 18 | 21-46 | 21 |
| 20.კაენი | 29 | 3 | 11 | 15 | 23-44 | 20 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

დენ ჰააგი-ვიტესი ........ 3:3
ტილბურგი-სიტარდი ........ 3:2
გრააფსხაპი-ერაკლესი ........ 1:2
ალკმაარი-გრონინგენი ........ 1:0
ჰერენვენი-ექსელსიორი ........ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-პორტუ ........ 2:3
შავიში-სპორტინგი ........ 1:3
ბენფიკა-ტონდელა ........ 1:0
სანტა კლარა-გიმარაეში ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ენისეი-რუბინი ........ 1:1
დინამო-ლოკომოტივი ........ 0:1
ახმატი-სპარტაკი ........ 1:3
როსტოვი-ურალი ........ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ბაზელი ........ 0:1
სიონი-ციურიხი ........ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-ჰამილტონი ........ 5:0
მოზერველი-სტ.ჯონსონი ........ 3:0
სტ.მირენი-დანდი ........ 2:1
ჰართსი-აბერდინი ........ 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-მატერსბურგი ........ 2:1
რაპიდი-ადმირა ........ 3:0
ჰარტბერგი-ინსბრუკი ........ 0:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენკი-ანდერლეხტი ........ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-იანინა ........ 0:2
ლამია-პანიონიოსი ........ 1:0
ლარისა-ასტერასი ........ 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ზლინი-სიგმა ........ 0:2
ბოლესლავი-სპარტა ........ 2:1
ოპავა-დუკლა ........ 2:0
ტეპლიცე-სლოვაცკო ........ 2:0
სლავია-ლიბერეცი ........ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგნიცა-სოსნოვეცი ........ 0:2
არკა-სლასკი ........ 0:2
კორონა-ლეხი ........ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ნორდსიელანდი ........ 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ოდ გრელანდი-ბრანი ........ 3:2
ვალერენგა-მიონდალენი ........ 2:0

# მგზავრებმა ისევ მოიგო

**რუსთავი-მგზავრები 71:91**
**(11:29, 18:20, 18:23, 24:19)**

ჩემპიონატის აუტსაიდერმა რუსთავმა მგზავრებს უმასპინძლა და, რომ იტყვიან, უშანსოდ წააგო, რითაც ლიგაში დარჩენის იმედი, ფაქტობრივად, გადაეწურა. სუპერლიგიდან პირდაპირი გზით რომ არ დაქვეითდნენ, რუსთაველებმა რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილი სამივე მატჩი უნდა მოიგონ, მათ შორის კონკურენტ კაკტუსს მინიმუმ 6 ქულით სძლიონ, ხოლო კაკტუსელებმა სამივე შეხვედრა წააგონ. ამის, ანუ რუსთაველების ბოლო ადგილიდან თავის დაღწევის შანსი ძალიან მცირეა.



ცხადია, შეხვედრაში მგზავრები დომინირებდა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პირველი პერიოდი 29:11 მოიგო, დიდი შესვენებისთვის კი უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდა – 49:29.

მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, როცა მგზავრების ლიდერობა 30 ქულას მიუახლოვდა. საბოლოოდ თბილისელებმა 91:71 დაამარცხეს რუსთავი და ცხრილში მეორეზე მყოფ დინამოს გაუთანაბრდნენ. ორივე გუნდს 10 მოგება და 5 წაგება აქვს.

მგზავრებს 25-25 ქულით კახა ჯინჭარაძემ და პრინს უილიამსმა ულიდერეს. 15 ქულა დააგროვა ჯეიკობ არმსტრონგმა, ხოლო 13 – ადრიან ბოუიმ. რუსთავში 23 ქულით საუკეთესო იყო აჰმედ მოავადი, ხოლო ლევან გოგალაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

# თავისუფლები ევროპაზე საბრძოლო შემადგენლობით მიდიან

8-14 აპრილს ბუქარესტი მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. საქართველოს ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზებს.

ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების შემადგენლობა.

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ციკლში გიორგი იანტბელიძის გუნდმა გაიარა ბაკურიანისა და ბორჯომის საწვრთნელი შეკრებები, იასპარეზა საფრანგეთისა და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირებზე, ბოლოს კი დუშეთში შეიკრიბა.



რუმინეთში გამგზავრებამდე ნაკრების თავკაცმა საევროპო შემადგენლობა დაასახელა. როგორც გითხარით, ევროპის ჩემპიონატზე ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით მიემგზავრება. გუნდშია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი, რომელიც 2016 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ლადო ხინჩეგაშვილი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი სამჯერ (2014, 2016, 2017) მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონი ზურაბ იაკობიშვილი, ასევე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ბექა ლომთაძე და ავთანდილ კენჭაძე.

**საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია:** ოთარ გოგავა (57); ბექა ლომთაძე (61); ლადო ხინჩეგაშვილი (65); ზურაბ იაკობიშვილი (70); ავთანდილ კენჭაძე (74); ნიკა კენჭაძე (79); სანდრო ამინაშვილი (86); ირაკლი მწითური (92); ელიზბარ ოდიკაძე (97); გენო პეტრიაშვილი (125).

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# „კოკა-კოლას" ცარიელი ბოთლი აუქციონზე გაიყიდება



ამერიკის პენსილვანიის შტატში აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს გაზიანი სასმელის „კოკა-კოლას" უიშვიათესი მინის ბოთლი, რომელიც 1915 წლითაა დათარიღებული.

ლოტის სასტარტო ღირებულება 150 ათასი დოლარია. ექსპერტების თქმით, ეს კომპანია „კოკა-კოლას" იმ დროიდან შემონახული ერთადერთი ბოთლია.

– ბოთლების საუკეთესო კოლექციონერები, რომლებთანაც გვქონდა კონსულტაციები, დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ჭურჭელი წარმოუდგენლად იშვიათი და ფასეულია, – განაცხადეს აუქციონის ორგანიზატორებმა, – ის თითქოსდა სულ ახალია, ყოველგვარი ბზარებისა და ნაკაწრების გარეშე.

ერთ-ერთი ვერსიით, 1915 წელს ამერიკულმა კომპანიამ დაიქირავა დიზაინერები, რათა მათ მათი ესკიზით რამდენიმე სახის ჭურჭელი დაემზადებინათ. „კოკა-კოლას" წარმომადგენლებს რვა ბოთლი მოეწონათ, თუმცა უმნიშვნელო კორექტივების შეტანა მოისურვეს. მათ სურდათ, მასობრივი მოხმარების პროდუქტი უფრო უნივერსალური გაეხადათ.

ლეგენდარული სასმელის ბოთლის საბოლოო დიზაინი მხოლოდ 2017 წელს გამოვიდა. მანამდე კი მისი დამზადების მთელი პროცესი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. სავარაუდოდ ბოთლის მრავალი პროტოტიპი დაუყოვნებლივ ნადგურდებოდა, რათა ინფორმაციას არ გაეჟონა.

# მაიმუნებმა საავადმყოფოს შეუტიეს და პაციენტები მშივრები დატოვეს



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ დურბანის საავადმყოფოს მაიმუნები ატერორებენ.

მათ დაწესებულებაზე შეტევა შობის დღესასწაულის დროს დაიწყეს. მაიმუნებმა შიგნით ღია ფანჯრიდან შეაღწიეს. ყველა ფანჯრის დაკეტვა არ შეიძლება, ვინაიდან კონდიციონერით მხოლოდ ზოგიერთი პალატაა აღჭურვილი.

ცხოველები იპარავენ და ჭამენ ყველაფერს, რაც კი ახლობლებს საავადმყოფოში ავადმყოფებისთვის მიაქვთ. პაციენტები იძულებულნი ხდებიან, ყველაფერი საბნების ქვეშ დამალონ. მათი თქმით, შესაძლოა, პალატაში ერთდროულად 20 მაიმუნი შეიჭრას.

ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში საავადმყოფოს ცხოველებისგან განთავისუფლება და დაცვა მოითხოვეს, ვინაიდან ისინი ავადმყოფების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიან. სამინისტროში ასევე აღნიშნეს, რომ მაიმუნები შესაძლოა ტუბერკულოზის, ყვითელი ცხელებისა და ჰეპატიტის გამავრცელებლებიც კი გახდნენ. გარდა ამისა, ისინი საავადმყოფოს სამედიცინო იარაღების სტერილურობას უქმნიან საფრთხეს და ამტვრევენ მოწყობილობებს.

სამედიცინო დაწესებულებაში მაიმუნებთან ბრძოლის სპეციალური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც ვეტერინარები, ჯანმრთელობის დაცვის საქმის ექსპერტები და ბუნების დაცვის ექსპერტები შევიდნენ. თუმცა მათ ამ პრობლემის მოგვარება ჯერჯერობით ვერ მოახერხეს.

# ქალმა მკერდის დაპატარავება ცადა და ინანა

ქალმა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში, რომელიც პლასტიკური ქირურგიის პრობლემებს ეძღვნება, საკუთარ წარუმატებელ ოპერაციებზე ისაუბრა, რომლის დროსაც თავისი ნების საწინააღმდეგოდ მკერდი გაუდიდეს.

ქალიშვილის დაბადების შემდეგ შოუს გმირმა ქალბატონმა გადაწყვიტა, საკუთარი მკერდის ფორმის კორექტირება გაეკეთებინა.



– ის თითქმის ჭიპამდე მეკიდა, – განაცხადა ქალმა, – ეს საშინელება იყო.

მკერდის აწევისა და ზომის შემცირების ნაცვლად, რომლის იმედიც ჰქონდა ქალს, პლასტიკურმა ქირურგმა მისი ნებართვის გარეშე მკერდში სილიკონის იმპლანტები ჩაუდგა.

ქალი ორჯერ შეეცადა, ახალი პლასტიკური ოპერაციების დახმარებით მოეგვარებინა ეს პრობლემა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და ამის შემდეგ ტელეგადაცემას მიმართა, რომელიც ცნობილ პლასტიკურ ქირურგებს ტერი დუბოუსა და პოლ ნასიფსს მიჰყავთ. მათ იმპლანტების მოშორება და მკერდის დაპატარავება შეძლეს.

– იმის გამო, რომ იმპლანტები აღარ მიდგას, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მხრებიდან უზარმაზარი ტვირთი მომხსნეს, – განაცხადა ქალმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რუს გოგონას ნიუ იორკში თაღლითობისთვის ასამართლებენ



ნიუ იორკში რუსეთში დაბადებული ანა სოროკინას საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომა გაიმართა.

28 წლის ანა სოროკინა ნიუ იორკში 2016 წელს ჩავიდა და გარშემომყოფთ თავი ანა დელვეიდ წარუდგინა. გოგონა ასევე თავს მდიდარ მემკვიდრედ ასაღებდა, მაღალი წრის საზოგადოებაში ტრიალებდა და საკუთარი სახელობის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის გახსნას გეგმავდა. სოროკინას ცნობილი ბრენდების სამოსი ეცვა და მაღაზიებსა და რესტორნებში მომსახურე პერსონალს გულუხვ გასამრჯელოს უტოვებდა. ამის გამო კი ყველას სჯეროდა, რომ ის მდიდარი ოჯახიდან იყო.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მამამისი შორ მანძილზე გადამზიდავად მუშაობდა, შემდეგ კი კონდიციონერების მონტაჟის კომპანია გახსნა და ქალიშვილს იმაზე ნაკლებ თანხას უგზავნიდა, ვიდრე ის ხარჯავდა. სოროკინამ მოტყუებით აიღო 200 ათასი დოლარის კრედიტი და შეპირებული იყო, რომ მას მისი ევროპელი ნათესავები გადაიხდიდნენ. ის სასტუმროებში უფასოდ ან მდიდარი მეგობრების ხარჯზე ცხოვრობდა, დადიოდა ძვირფას რესტორნებსა და წვეულებებზე.

ის 2017 წლის ივლისში დააპატიმრეს. პროკურორ კეიგენ მეის-უილიამსის თქმით, გოგონას სხვადასხვა ორგანიზაციის 275 ათასი დოლარის ვალი დაუგროვდა.

სოროკინას ადვოკატი კი აცხადებს, რომ მის კლიენტს სჯეროდა, რომ ფულს გამოიმუშავებდა და ვალებს გაისტუმრებდა. თუ გოგონას დამნაშავედ ცნობენ დიდი ოდენობით თანხის მოპარვასა და თაღლითობაში, მას ციხეში 15 წლის გატარება მოუწევს. სხვა შემთხვევაში მისი დეპორტაცია განხორციელდება, ვინაიდან მის ვიზას დიდი ხანია, ვადა გაუვიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი



1. მდინარე იტალიაში; 2. „ნაბოლარა" თითი; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. გვინეის დედაქალაქი; 5. სანჩო ... (პერს.); 6. ამონი; 7. ჭეშმარიტად; 8. ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 9. ბატონო (პოლონურად); 10. მაუგლის მეგობარი გველი; 11. ... რობერტსი; 12. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 13. ბოსტნეული მცენარე, რომლის ფესვიც იჭმება; 14. მიწის ფართის საზომი ერთეული; 15. სახელმწიფო ტერიტორიის გარკვეული ერთეული; 16. ივლისი; 17. მასის ერთეული; 18. ირმა ... (პიანისტი); 19. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი II მსოფლიო ომში; 20. მწყობრი ნაბიჯით სვლა; 21. სატურნის თანამგზავრი; 22. მოქმედების ნაწილი დრამატულ ნაწარმოებში; 23. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 24. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული მცენარე; 25. შენობის შიდა ეზო; 26. მთავრობის მეთაური; 27. ნათესების მავნე მწერი; 28. ბუნებრივი საღებავი; 29. უფერო გაზისებრი საწვავი ნივთიერება; 30. მთა და სოფელი ყვარლის რაიონში; 31. ... მორჩილაძე; 32. ვანესა ... (მევიოლინე); 33. ლიმონის პიტნა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფუტი; 2. რევიუ; 3. აქცია; 4. ვოლვო; 5. ლოზანა; 6. ნაკაშიძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. ხვიფლი; 15. კავანი; 16. კამიუ.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 4. ვალტორნა; 7. ტრევი; 9. ტანგო; 12. ჩაჟაში; 13. კვოტა; 14. ხარაძე; 17. მიქავა; 18. მეგალომანია; 19. კაპრიზი; 20. დურუჯი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქედანი; 2. ხუცესი; 3. რვალი; 5. ხოტი; 6. რამოსი; 8. სტრიტი; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. ლატავრა; 15. ლიზინგი; 19. ბორა.

**თარაზულად:** 1. ქვანახშირი; 4. სამხარი; 7. დარნიცა; 10. ათოსი; 9. ლეპტოპი; 12. ერისთავი; 16. ციხეგოჯი; 17. რეკორდი; 18. დარბაზობა; 20. ტამპერე; 21. ქერი; 22. ჩასპანდი.

# ასტროპროგნოზი

1 აპრილისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# აკაკი ბაქრაძის აკრძალული წიგნი მისმა შვილმა გამოსცა




პუბლიცისტისა და კრიტიკოსის აკაკი ბაქრაძის აკრძალული წიგნი მისმა შვილმა, ლაშა ბაქრაძემ გამოსცა.

**ლაშა ბაქრაძე:**

– გამოვეცით „მწერლობის მოთვინიერება", თან 1983 წლის თავდაპირველი, არალეგალურად გავრცელებული ტექსტის მიხედვით, სადაც ყველა სახელი, რომელიც 1990 წლის გამოცემიდან ამოღებული იყო, ჩანს. სხვა, 1990 წლის გამოცემისგან განსხვავებული ადგილები მითითებულია სქოლიოებში. მალე პრეზენტაცია გვექნება.

ტექსტი აღდგენილია 1983 წლის თავდაპირველი, არალეგალურად გავრცელებული წიგნის მიხედვით.

თავად აკაკი ბაქრაძე ამ წიგნის შექმნას ასე იხსენებდა:

– 70-იანი წლების მეორე ნახევარში უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი. 1983 წელს გადავწყვიტე, ამ ლექციების საფუძველზე წიგნი დამეწერა. იგი კარგად მოზრდილი გამოვიდა, სახელად „მწერლობის მოთვინიერება" დავარქვი. მაშინ, რა თქმა უნდა, ამ წიგნის დაბეჭდვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მაგრამ ხელნაწერი მაინც წაიკითხა ზოგიერთმა – ნინო ადამიამ, მიხეილ ანთაძემ, ამირან გომართელმა, ლეილა ნანიტაშვილმა, ალექსანდრე პაპავამ, ნოდარ წულეისკირმა და სხვებმა.

როცა „მწერლობის მოთვინიერებას" ვწერდი, მიზნად არ მქონია ვინმეს საყვედური-დამუნათება. არ მქონია იმიტომ, რომ არ ვიცი, თავად როგორ მოვიქცეოდი, იმათ მდგომარეობაში რომ ჩავვარდნილიყავი. წინასწარ არავინ უწყის, ვინ რას ჩაიდენს, როცა ყურში ნემსს გაუყრიან, როცა ფეხებით თავდაყირა დაკიდებენ, როცა რკინის კეტებით ძვლებს დაუმტვრევენ, როცა ბოთლზე დასვამენ და კიდევ, ვინ იცის, რა წამებას მიაყენებენ... თუ ყველაფერი ეს გადაგიტანია და არ გატეხილხარ, მაშინ გაქვს უფლება, შეხედო სხვას საყვედურიანი და მპატიებელი თვალებით, მაგრამ, როცა არაფერი გემუქრება და თბილ ლოგინში არხეინად ნებივრობ, მაშინ იოლია სხვათა განკითხვა და პატიოსნების თამაში.

მე, უბრალოდ, მინდოდა, საბუთების მოშველიებით დროის სურათი დამეხატა და ამ დროში განწირული ადამიანი, განსაკუთრებით, მწერალი.

„მწერლობის მოთვინიერების" გამოცემა დღეს შესაძლებელია. მართალია, ზოგიერთ მკითხველს შეიძლება წიგნი მოძველებულად მოეჩვენოს, მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი რამ სწორედ ისე მოხდა, როგორც ვვარაუდობდი.

# ნინი წიკლაური ამერიკაში დააჯილდოვეს

მომღერალი ნინი წიკლაური რამდენიმე წლის წინ ამერიკაში წავიდა და იქ თავის მეუღლესთან თემო ტუღუშთან და ერთი წლის შვილთან, პატარა საბასთან ერთად ცხოვრობს.



ნინი ამერიკაში დააჯილდოვეს. მას სპეციალური დიპლომები და სამადლობელი სიგელები გადაეცა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამავე საღამოზე ნინის წილად ხვდა ბედნიერება, ამერიკის სახელმწიფო ჰიმნიც შეესრულებინა.

# თამუნა მუსერიძეს კოჯორში აგარაკი გაუქურდეს



ტელეწამყვან თამუნა მუსერიძეს კოჯორში აგარაკი გაუქურდეს.

როგორც თამუნას ჟურნალისტებს განუცხადა, სახლიდან ძირითადად რკინის ნივთებია მოპარული:

– წაღებულია ჭიშკარი, სახლის კარი, ჟალუზები, ფანჯრები, მაგიდები, სკამები.

# ნოდარ მგალობლიშვილი მახათას პანთეონში დაკრძალეს

მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრში დაასვენეს, სადაც რიგით მაყურებლებს, მეგობრებს, კოლეგებს მასთან გამომშვიდობების საშუალება მიეცათ.

თეატრში შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ რეჟისორები, მსახიობები და ყველაზე ვაჟკაცური და თავმდაბალი მსახიობი კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

ნოდარ მგალობლიშვილი თეატრიდან ტაშის თანხლებით გამოასვენეს და მახათას პანთეონში დაკრძალეს.

**ქეთი დოლიძე:**

– გავაცილეთ ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, დიდი არტისტი, რაინდი, მოქალაქე, ღირსებით სავსე, მოუსყიდავი, სამართლიანი ნოდარ მგალობლიშვილი. მშვიდობით, ნოდარ, ბრწყინვალე ადამიანო!

**დათო გველესიანი, მომღერალი:**

– კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს! გავაცილეთ სულეთში ჩემთვის და ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის უძვირფასესი მსახიობი, ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი, კაცი, რომელიც ჩემს გულში მუდამ იცოცხლებს!

**გოგა გეგელია, რეჟისორი:**

– ქართულმა თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა. წავიდა დიდი არტისტი და დიდი პიროვნება, ნოდარ მგალობლიშვილი... მაგრამ ცხოვრება გრძელდება, თეატრი ხომ უკვდავია..

**ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი, მსახიობი:**

– კაცი... თუ ოდესმე ვინმეს კითხვა დაებადა, რას ნიშნავს კაცი, მისი ზუსტი პასუხი ნოდარ მგალობლიშვილია! კაცი... როგორი მშვიდი, თითქოს მოსვენებული, მაგრამ მთელი წარსულის სევდა დახუჭულ თვალებზე ჰქონდა.

ვნახე. ჩემი თვალებით ვნახე და ერთზე მწარედ ვიტირე, კაცზე!

კაცი... როგორ მიყვარს... შეხვედრამდე, ბატონო ნოდარ.

**გურამ ქართველიშვილი, მწერალი:**

– როცა ადამიანი მიდის სააქაოდან და მთლიანად არ ქრება, ეს მისივე განვლილი ცხოვრების გამოა. სწორედ ასეთ ადამიანთა შორის მოიხსენიებს აწი საზოგადოება ნოდარ მგალობლიშვილსაც, დიდ მსახიობს, მრავალი პერსონაჟის საუკეთესოდ გამცოცხლებელს და, რაც მთავარია, კაცს, რომელმაც ღირსეულად იცხოვრა. ამ საქართველოში, სადაც თანდათან კვდება რაინდული და სუფთა ცხოვრების წესი, სადაც პოპულარობა და ცნობადობა მომხვეჭელობის წყაროდაა ქცეული, ძალიან ძნელია, ადამიანმა ღირსება ისე ატაროს, როგორც ეს ბატონმა ნოდარმა შეძლო.



ძალიან მეტკინა მისი გარდაცვალება და გული დამწყდა, რომ ვერ შევძელი, მისი ნიჭით დამემშვენებინა ჩემი რომელიმე ფილმი თუ პიესა. დრო გადის, სააქაო საქართველოს ასეთი ქართველები აკლდებიან და სევდას ტოვებენ ამ ღირსებადაცოტავებულ გარემოში.

# ირაკლი ჟვანიას თბილისში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძეგლის დადგმა სურს

მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოთქვა ინიციატივა, რომ თბილისში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძეგლი დაიდგას:

– ძეგლის იდეა: ზვიად გამსახურდიას 80 წელი შეუსრულდებოდა. ვფიქრობ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში ზვიადისა და მერაბის სახელებზე უფრო მეტად პატივსაცემი სახელები არ არსებობს.

მათი ორივეს ტრაგიკული დაღუპვა კიდევ უფრო ვალდებულს ხდის ქართველობას, საკადრისი პატივი მიაგონ ამ ორ კაცს.



ამიტომ, მგონია, რომ დადგა დრო, თბილისში აღიმართოს ზვიადისა და მერაბის ძეგლი, ხსოვნის მონუმენტი. მე მათ ძეგლს ერთობლივად ვხედავ, თუმცა ეს ფართო საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, ისევე, როგორც განთავსების ადგილი.

დაე, გამოცხადდეს კონკურსი მხატვრულ გადაწყვეტაზე, ყველა შემოქმედს მიეცეს საშუალება, მიიღოს მონაწილეობა ამ ეროვნულ პროექტში. ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მხარს არ დაუჭერს ამ იდეას. ეს სჭირდება ქვეყანას, მომავალ თაობას.

ოჯახთან საუბარი უკვე გვქონდა ამ თემაზე და, რასაკვირველია, თანხმობა არის. ახლა საჭიროა მერიის მხრიდან მოქმედება, რომელსაც, იმედია, არ დააყოვნებენ და ქვეყანა საკადრის პატივს მიაგებს მის გმირებს.

# გია ყანჩელი ნიკოლოზ რაჭველს აგრესიულობას უწუნებს

კომპოზიტორი გია ყანჩელი დირიჟორ ნიკოლოზ რაჭველს აგრესიულობას უწუნებს და პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად მიიჩნევს თანაარსებობას ურთიერთპატივისცემის პირობებში:

– უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ვიმეორებ, რომ ეროვნული სიმფონიური ორკესტრი საკუთარ სახლს იმსახურებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ პრობლემის მოსაგვარებლად, დაპირისპირებისა და იერიშების გარდა, სხვა ყველა საშუალება ამოწურულია.

პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთი გზა მეგულება, თანაარსებობა ურთიერთპატივისცემის პირობებში. შესაბამისად, ჩემი სახელითა და კონტექსტიდან ამოღებული გამონათქვამებით სარგებლობა მიუღებლად მიმაჩნია. ჩემი კეთილგანწყობა ამა თუ იმ კოლექტივისა თუ მუსიკოსის მიმართ არ ნიშნავს ჩემს მონაწილეობას დაპირისპირებებში.

ერთნაირად ვცემ პატივს როგორც სახელმწიფო კოლექტივს, ასევე საკონცერტო დარბაზში მოღვაწე კერძო კომპანიას. დღესაც ვაღიარებ ნიკოლოზ რაჭველის მუსიკალურ მონაცემებს და მის ღვაწლს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის აღორძინებაში, მაგრამ კატეგორიულად ვგმობ მის და მისი თანამოაზრეების მიერ სოციალურ ქსელსა და მასმედიაში გავრცელებულ აგრესიას.

საზოგადოებას კი ჩემს მრავალწლიან გამოცდილებას გავუზიარებ და მოვახსენებ, რომ პროფესიული მუსიკის მხარდაჭერა და განვითარება დიდი ფუფუნებაა როგორც განვითარებულ, ასევე ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში. ასეთი მატერიალური ტვირთის ტარება მხოლოდ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთიანი ძალისხმევით თუ გახდება შესაძლებელი.



დაბოლოს, მინდა გავამახვილო საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოს 2007 წელს არ აღმოაჩნდა უნარი, შეენახა და დაეფინანსებინა ქალაქის ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი და მის მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა კერძო სექტორს დაეკისრა. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი ქვეყანა მზად აღმოჩნდება, ფილარმონიული ცხოვრების აღორძინება ბიუჯეტიდან უზრუნველყოს ისე, როგორც ეს ხდება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### მიტოვებულ ზოოპარკში ცხოველები სასიკვდილოდ გაიმეტეს

ესპანეთის ქალაქ აიამონტეში მიტოვებული ზოოპარკის ვოლიერებში დარჩნენ ცხოველები, რომლებსაც აღარავინ უვლიდა.

ცხოველთა დამცველებმა ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა არ ზრუნავდა ზოოპარკის ბინადრებისთვის ახალი საცხოვრებელი ადგილის მოძებნაზე. ზოოპარკი რამდენიმე თვის წინ რამდენიმე ცხოველის დაღუპვისა და აქტივისტების საჩივრის შემდეგ დაიხურა. ზოოპარკის ტერიტორიაზე ახლად გადაღებულმა ფოტოსურათებმა მათი შიში დაადასტურა. მათი მიხედვით, ვოლიერებში კვლავაც იმყოფებიან დათვი, ვეფხვი, ოთხი პავიანი, ირემი და სხვა ცხოველები.



საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „დიდი ადამიანის მსგავსი მაიმუნების პროექტის" წარმომადგენელ პედრო ტერადოსის თქმით, გაურკვეველია, ვინმე კვებავს თუ არა ცხოველებს. ზოოპარკს არ ჰყავს დაცვა, ხოლო გალიებში არავინ ცვლის წყალს. მისმა მოხმარებამ შესაძლოა ცხოველების დაინფიცირება გამოიწვიოს.

– ზოოპარკი ქაოსური მიტოვების მდგომარეობაშია. დათრგუნული ცხოველები ვერ იღებენ ვეტერინარულ დახმარებას, – აცხადებს ტერადოსი.

### ბებია შვილიშვილის გადასარჩენად მატარებელს ჩაუვარდა




ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სპრინგფილდში ხანშიშესულმა ქალმა საკუთარი სიცოცხლის ფასად შვილიშვილი მატარებლის ბორბლებქვეშ სიკვდილისგან გადაარჩინა.

79 წლის ჰილდა ფიგეროა და მისი 26 წლის შვილიშვილი ჰილდა სანჩესი მაღაზიიდან და საავადმყოფოდან სახლში ბრუნდებოდნენ. მათი სახლიდან ას მეტრში რკინიგზის ხაზი გადის. ადგილობრივები მასზე არაოფიციალური გადასასვლელით გადადიან, სადაც არც რაიმე ნიშანი და არც გამაფრთხილებელი წარწერა არ დგას. ასევე მოიქცნენ იმ დღეს ფიგეროა და სანჩესიც და მოახლოებული მატარებლის გზაზე აღმოჩნდნენ.

მატარებელი სწრაფად და ყოველგვარი სიგნალის გარეშე მოძრაობდა. სანჩესის შეფასებით, მისი სისწრაფე მინიმუმ საათში 160 კილომეტრი იქნებოდა, რაც ორჯერ აღემატება სისწრაფის დასაშვებ ლიმიტს. საფრთხე ფიგეროამ პირველმა შენიშნა.

– მან ხელი მკრა და ლიანდაგებს მომაშორა, – ამბობს სანჩესი, – მისი გამოყვანა ვცადე, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

მატარებელმა ქალი 15 მეტრზე გადააგდო. ის სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა, როდესაც საავადმყოფოში მიჰყავდათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

1 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6914 | ევრო — 3.0203 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5147 | 100 რუსული რუბლი — 4.1638 |

**ამინდის პროგნოზი 1 აპრილისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

**„მე მიყვარს კითხვა“**



**26 მარტიდან**

იროდიონ ევდოშვილი

**რჩეული მოთხრობები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

**22 მარტიდან**

იაკობ გოგებაშვილი

**შემეცნებითი მოთხრობები**



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

**29 მარტიდან**



ოტია იოსელიანი

**ქალი გამოვიდა საღალატოდ**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## შვილის ქორწილის გამო მძიმედ ავადმყოფმა მამამ საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი თქვა

ფოტოსურათმა, რომელზეც საქორწინოდ გამოწყობილი გოგონა სასიკვდილოდ ავადმყოფი მამის თავთანაა დახრილი, სოციალურ ქსელებში ვირუსული გახდა. აღნიშნული ფოტოსურათის ისტორია ერთ-ერთმა აზიურმა ტაბლოიდმა გაავრცელა.



– ეს ერთ-ერთი ის გულისშემძვრელი სცენაა, როდესაც მამა, რომელსაც მეოთხე სტადიის კიბო აქვს, საავადმყოფოში გადაყვანაზე უარს აცხადებს იმის გამო, რომ თავისი ქალიშვილის ქორწილს დაესწროს, – წერია ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფოტოსურათი ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა კრის და ჰერლინ დუმეგინების საქორწინო ცერემონიის დროს გადაიღო. მამა ოცნებობდა, რომ თავისი ქალიშვილი თავად მიეყვანა საკურთხეველთან, მაგრამ ქორწილის დღეს თავი ძალიან ცუდად იგრძნო.

ეკლესიის შესასვლელთან გააჩერეს მანქანა, რომელშიც პატარძლის მამა იჯდა. დაქორწინებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჰერლინი მამასთან მივიდა აკოცა და უთხრა: „მამა, ახლა გავთხოვდები, კარგი?“ საქორწინო სუფრაზე მამამ შვილთან ვერ იცეკვა და ეს მის მაგივრად დედამ გააკეთა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ექიმი მამაკაცს, რომელსაც დიაბეტი აღმოაჩნდა, ეუბნება:

– შენთვის აღარ შეიძლება ტკბილი, ცომეული, კარტოფილი, მაკარონი და ა.შ.

– და სექსი შეიძლება, ექიმო?

– მხოლოდ ცოლთან.

– და საყვარელთან?

– არ შეიძლება, ეგ უკვე ტკბილია...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორ შეიძლება, იმპოტენტს იმპოტენტი ისე ვუწოდო, რომ ეს სიტყვა არ გამოვიყენო?

– უძრავი ქონების მფლობელი.

•••

მამა შვილს ეუბნება:

– ჩვენ გაგათამამეთ და ისევ ჩვენ მოგვიწევს შენი დასჯა!

– ეს როგორ, თქვენ გამათამამეთ და მე უნდა დამსაჯოთ?

•••

ქმარი ჰალსტუხს ეძებს კარადაში. ცოლი ეკითხება:

– რას ეძებ?

– ჰალსტუხს.

– ქვედა უჯრაშია.

– წინდები სადღაა?

– ქვედა უჯრაში.

– ტრუსიკები?

– ეგენიც ქვედა უჯრაშია.

– მე რა, მხოლოდ ერთი უჯრა მაქვს?

– არა, კიდევ თარო გაქვს საპარსისთვის სააბაზანოში.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას აპირებ?

– სოფელში დავბრუნდები და მამის საქმეს გავაგრძელებ.

– აჰა, ე.ი. ილოთავებ?

•••

ქმარი უყურებს, როგორ აცხობს ცოლი ღვეზელებს. უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– ერთი რამე ვერ გამიგია, რისთვის გიკეთია წინსაფარი? ხელებს ხომ მაინც უკანალზე იწმენდ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი შეყვარებული ხელში აყვანილი დამყავს!

– ჩემი კი საერთოდ არ სვამს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## უზარმაზარმა კურდღელმა პატრონი თითქმის გადაწონა



ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის მკვიდრმა ოჯახმა მათ სახლში მცხოვრებ უზარმაზარ კურდღელ კოკოა-პაფზე ისაუბრა.

ლინდსი სმიტმა კურდღელი ბავშვებისთვის იყიდა. ის არ ზის გალიაში, ამიტომ მთელ სახლში თავისუფლად გადაადგილდება. ყველაზე ხშირად ცხოველს ლინდსის სამი წლის გოგონა მეისი ეთამაშება, რომელიც ცხოველის ნამდვილი პატრონი გახდა.

– პირველივე დღიდან მათ შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა, – ამბობს ქალი, – ის ყველგან დაჰყვება, ის კი მას უფლებას აძლევს, ეთამაშოს და ბალიშივით გამოიყენოს.

კოკოა-პაფი თავის პატრონ მეისის ზომით სულ მცირედით ჩამორჩება, ამიტომ, იმდენად შინაურ ცხოველად არ აღიქმება, რამდენადაც – თამაშში გოგონას პარტნიორად. რიზენის ჯიში კურდღელი, რომელსაც კოკოა-პაფი განეკუთვნება, ჩვეულებრივ, სიგრძეში ერთ მეტრამდე იზრდება და წონაში 12 კილოგრამს აღწევს, თუმცა უფრო დიდი ზომის ცალკეული ინდივიდებიც გვხვდება.

ოჯახი კურდღლის შენახვაზე თვეში 200 დოლარზე მეტს ხარჯავს. სმიტმა კი, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ კოკოა-პაფი მუდმივ მოვლას საჭიროებს და ავეჯისა და ხალიჩების ღრღნისკენაა მიდრეკილი.

## სასამართლომ უფროსს თანამშრომლის მიმართულებით გაზების გაშვების უფლება მისცა




ავსტრალიის ვიქტორიის შტატის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ინჟინრის სარჩელი, რომელიც თავის ყოფილ დამსაქმებელს გაზებით მოწამვლაში ადანაშაულებდა.

2008 წლის მაისში დევიდ ჰინგსტი მელბურნის სამშენებლო კომპანიაში მოეწყო. მისი ხელმძღვანელი გახდა გრეგ შორტი, რომელიც, მოსარჩელის თქმით, დღეში ხუთ-ექვსჯერ მის კაბინეტში შედიოდა და იქ გაზებისგან იცლებოდა. ინჟინრის აზრით, შორტი ამას სასაცილოდ მიიჩნევდა. ჰინგსტმა მას „მისტერ აყროლებული“ უწოდა, შეიძინა დეზოდორანტი და ყოველ ჯერზე უფროსს ასხურებდა. 2009 წლის აპრილში ის სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ინჟინერი თვლიდა, რომ ის დევნას განიცდიდა და მორალური ზიანის მიყენებისთვის კომპენსაციის სახით 1,8 მილიონ ავსტრალიურ დოლარს მოითხოვდა. 2018 წლის აპრილში მისი სარჩელი ვიქტორიის შტატის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, თუმცა ჰინგსტი არ დანებდა და აპელაცია შეიტანა.

სასამართლოზე შორტმა ბრალდება უარყო. მისი თქმით, მან შესაძლოა ერთი- ორჯერ ხუმრობით თავი ისე მოაჩვენა, თითქოსდა ჰაერს აფუჭებდა, მაგრამ სხვა მსგავსი შემთხვევები არ ახსოვს. რაც შეეხება ინჟინრის გათავისუფლებას, ეს 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ სამშენებლო ინდუსტრიის ჩავარდნით ახსნა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჰინგსტის მიერ მოყვანილი ფაქტები სიმართლეს რომც შეესაბამებოდეს, გაზების გაშვება არ შეიძლება, ვინმეს დევნად განიხილებოდეს. ამის შემდეგ გათავისუფლებული ინჟინერი აპირებს, ბრძოლა ავსტრალიის სასამართლო იერარქიის უკანასკნელ ინსტანციაში განაგრძოს.

## მოხუცებმა ხულიგანს ხელჯოხებით სცემეს და გააქციეს



კანადის ალბერტის პროვინციის ქალაქ ედმონტონში კათოლიკური ეკლესიის ხანდაზმულმა მლოცველებმა ღვთისმსახური ხულიგნისგან დაიცვეს.

უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი ღვთისმსახურს საღამოს წირვის დასრულებისთანავე თავს დაესხა. მან ის ძირს დააგდო, ხელი კისერში წაუჭირა და დახრჩობა დაუწყო. პოლიციის მონაცემებით, თავდამსხმელს ალკოჰოლის სუნი ასდიოდა.

ღვთისმსახურის დაცვა ეკლესიაში მისულმა მოხუცებულმა ქალბატონებმა ითავეს.

– ეს ქალბატონები შოკირებულები აღმოჩნდნენ და მათ შეიძლება გავუგოთ, მაგრამ მათ საქმეში ჩარევა მოახერხეს, – ამბობს ედმონტონის ეპარქიის წარმომადგენელი ლორეინ ტურჩანსკი, – მათ ხულიგანს თავიანთი ხელჯოხები დაუშინეს და აიძულეს, ღვთისმსახურისთვის თავი დაენებებინა.

ამჟამად ხულიგანს, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, სამართალდამცავი ორგანოები ეძებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. პატარა თეფში; 5. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 7. რისამე ან ვისიმე მიბაძვა; 9. ფრანგი მათემატიკოსი (1865-1963); 10. ობობის მსგავსი შხამიანი ცხოველი; 13. დიდი ბუ (ძვ.); 14. მონათესავე ბოშების მომთაბარე ჯგუფი; 15. უუფლებო ადამიანი; 19. პიტნის სუნის მქონე კრისტალური ნივთიერება; 20. რაიმე დაწესებულების, საწარმოს მმართველი; 21. იტალიური მოხდილი ყველი; 22. „სალდათი“ ბანქოში.

**შვეულად:** 1. გრ. რობაქიძის პიესა; 2. იოჰანეს ... (გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი); 3. ქალაქი კალიფორნიის შტატში (აშშ); 4. ჩრდილოამერიკული გარეული ხარი; 6. ტუსაღი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 11. მთავრის (თავადის) უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 12. სასაცილო შინაარსის პიესა; 16. ველორიქშა ინდოეთში; 17. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 18. ჟირაფების ოჯახის იშვიათი აფრიკული ცხოველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

